



702/2
1984



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოება

ქართული
სიბუნებისა

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS



მარტვილი. ზედი აღმოსავლეთით. ვ. ცინცაძის ფოტო.
Martvili. Вид на восток. Фото В. Цинцадзе.

708
984/2

სერია „მატირიალური კულტურის კვლევები“



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქველვის ქუთხაზი

ქაბული სამცხრანხუთი

შენიშვნები

ირაკლი ციციშვილი — ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაცია გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით	3
პანტაძე ცინცაძე — „გურჯინოს“ გეგმარების დახასიათებისათვის	13
დონაძე მამულაძე — სიღნაღი	21
ირინე შარაშიძე — ქსნის საერისთავოს ლამისუანის კომპლექსი	25
ასია გორგოზიანი, თამაზ ლვარი — ვანაძიანის „უველამონღას“ გუმბათოვანი ტაძრის რესტავრაციის შესახებ	43
ნანული თოდუა, მარინე გამყარაძე, ლევან თოდუა, ნოდარ ცანავა, თამაზ იაქაშვილი — ახალციხის რაბათის მეტეოზე გაერცელებული ეროზიის გამომწვევი მცენარეები	53
ანდრეი შხაპაძე — უცნობი ძეგლი გელათში?	61
ზაზა სმირტლაძე — ბერთუნის ტაძრის მონატულობის ფრაგმენტები საქართვე- ლოს ზელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან	62
ველოცაო იუზილარს	70
პანტაძე მარინე 70 წლისაა	72
ჯიშვარ კანაიშვილი — ძეგლების სიუვარული	74
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე	75-78

СОДЕРЖАНИЕ

И. Цицишвили — Реставрация памятников истории и культуры в связи с 200-летием подписания Георгиевского трактата	3
В. Цинцадзе — Строительство Вахтанга VI «Грузино»	13
Д. Мchedlishvili — Сигнахи	21
И. Шарашидзе — Ламисванский комплекс в Ксанском Эриставстве	25
Т. Двали, К. Гиоргобiani — О вопросах реставрационных работ (купель- ного храма «Вачнадзвანი»)	43
Н. Тодуа, М. Гамкrelidze, Л. Тодуриа, Н. Цанава, Т. Якашвили — Расте- ния, вызывающие эрозию мечети Ахалцихского рабата	53
А. Пхакадзе — Неизвестный памятник в Гелати	57
З. Схиртладзе — Фрагменты росписи Бертубанского храма в собрании государственного музея искусств Грузии	63
Поздравляем юбиляра	70
В. Беридзе 70 лет	72
Дж. Кенчашвили — С любовью к памятникам	74
Аннотации на русском и английском языках	75-78

**ისტორიისა და კულტურის ძეგლების რესტავრაცია გეორგიევ-
სკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით.**

1983 წელს ფართოდ აღინიშნა რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავი.

როგორც ცნობილია, ეს უმნიშვნელოვანესი ისტორიული აქტი მოასწავებდა უდიდეს გარდატეხას ქართველი ხალხის განვითარებაში. გეორგიევსკის ტრაქტატისა და შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველი ერი გადაურჩა ფიზიკური განადგურების რეალურ საშიშროებას, მას მიეცა მშვიდობიანი შრომისა და მოღვაწეობის საშუალება, საქართველო დაადგა სამრეწველო-ეკონომიური განვითარების გზას და უზიარა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კულტურას.

რუსეთსა და საქართველოს შორის სოციალური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს სამხედრო გზამ. სწორედ ამ გზით მოედინებოდა საქართველოში განათლება და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები, ამ გზით ჩამოდიოდნენ საქართველოში ადამიანები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვის ორი ქვეყნის კულტურის ურთიერთგამდიდრებაში, ხოლო თერგდალეულები ამავე გზით უზიარნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს.

ამასთან დაკავშირებით ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება „საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციის, კეთილმოწყობისა და არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმების შესახებ“. მრავალ სხვა ღონისძიებათა შორის გათვალისწინებული იყო გზის გასწვრივ მდებარე ყველა ისტორიული ძეგლის რესტავრაცია.

საქართველოს სამხედრო გზა, რომლის სიგრძე თბილისიდან ორჯონიკიძემდე 206 კილომეტრს შეადგენს, მიემართება იმდენად მდიდარსა და მრავალფეროვან ლანდშაფტში, რომ აქ ბუნებაში აქტიური ჩარევა უბრალოდ დაუშვებელია. მკაცრი, „კლასიკური“ ბუნება, წარმტაცო, ცვალებადი ხედებით გაფორმების დიდ ტაქტსა და გემოვნებას მოითხოვს, ამიტომ გზის გაფორმებაც იქნება თავშეკავებული და ძირითადად განისაზღვრება ისტორიული და მემორიალური ნაგებობების (საფოსტო სადგურები, სტელები, წყაროები და სხვ.) აღდგენით და ზოგიერთი მხატვრული აქცენტების შექმნით.

მართლაც გზაზე ერთმანეთს ცვლიან ბალ-ვენახებით დაფარული ველები (მტკვრის ხეობა ბულაჩურამდე), ტყიანი მთების ზონა მლეეთამდე, სუბალპური მთების ზონა მლეეთიდან გუდაურამდე და ბოლოს ჯვრის უღელტეხილის ალპური ზონა, მარადი თოვლით დაფარული მთებით. მთელ ამ საოცარ გზაზე ვხვდებოდა ისტორიული ძეგლები – ციხეები, კოშკები, ციხე-სახლები, ეკლესიები, რომლებიც მოგვითხრობენ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის, და განსაკუთრებით მთიელების ბრძოლებზე გარეშე მტრებთან თუ ადგილობრივ ფეოდალებთან. სწორედ ამ ძეგლების (რომელთა რიცხვი ორმოცს აღემატება)

ქ. მარტისი ბ. ნ. ს. კ. სსრ
სსსკ სსსკ სსსკ სსსკ
სსსკ სსსკ სსსკ სსსკ



რესტავრაცია იკისრა ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლის დაცვისა და გამოყენების მთავარმა სამმართველომ.

საქართველოს სამხედრო გზა ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესია ქართლში. უწინ მას დარიალის არაგვის ან ოვსთა კარი ერქვა. ამ გზას უკვე კარგად იცნობდნენ ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები. სტრაბონი ზუსტად აგვიწერს ამ გზას, ხოლო პლინიუსი ამბობს: „კავკასიის კარები უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უცვარი გაპოზის შედეგი. თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილი დირეებით... მდინარის გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რომ დააბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების ვადმოსვლა“.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ გზას ქალაქი მცხეთაც, რომელიც სავაჭრო და სტრატეგიულ გზების შესაყარზე მდებარეობდა. აქედან ხორციელდებოდა კავშირი ქვეყნის სხვადასხვა პროვინციებთან.

სწორედ მცხეთის ძეგლებით დაიწყო სამხედრო გზის ძეგლების მოვლარესტავრაცია. უკვე რამოდენიმე წელია, რაც მიმდინარეობს და დასრულდა მცხეთის დიდებული ტაძრის სვეტიცხოვლის საფუძვლიანი რესტავრაცია მისი უძველესი ფენების გამოვლენითა და დადგენით (მცხეთის ყველა ძეგლების რესტავრაცია ეკუთვნის ხელოვნებათმცოდნე-რესტავრატორს ვახტანგ ცინცაძეს). შემდეგ სამთავროს ტაძრის რესტავრაცია და მის ვალაყნის შიგნით მდებარე უძველესი, მირიანის პატარა ეკლესიის აღდგენა; ამას მოჰყვა ანტიოქიის ეკლესიის რესტავრაცია; არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ანტიკური დროის „არაგვის კარის“ რესტავრაცია და ბოლოს, მცხეთის ჯვრის საფუძვლიანი რესტავრაციაც.

ამგვარად საქართველოს ძველი დედაქალაქის ქალაქ მუზეუმის მცხეთის ყველა ძეგლი რესტავრირებულია.

თუმცა ერთი ძეგლი მოითხოვს ხანგრძლივ გამოკვლევასა და კონსერვაციას. როგორც ცნობილია, მცხეთის განაპირას ბორცვზე აღიმართება უძველესი „ბებრის ციხე“, რომელიც იცავდა ქალაქს ჩრდილოეთიდან, ამჟამად ესწრება მხოლოდ არსებულ ნანგრევთა ფიქსირება და გამაგრება. რაც შეეხება მის საფუძვლიან გამოკვლევასა და რესტავრაციას, ამას წინ უნდა უსწრებდეს არქეოლოგიური გათხრები, ვინაიდან ანტიკური პერიოდის ციხის უძველესი ფენები მიწითაა დაფარული.

მცხეთის შემდეგ პირველი ძეგლი, რომელიც ექვემდებარებოდა რესტავრაციას იყო გვიანფოდალური ხანის დარბაზული ეკლესია სოფელ არაგვის-პირში. აქ აღდგენილია სახურავი, რომელიც დაიხურა ქართული კრამიტით, შეკეთდა ეკლესიის კედლები ეკლესიიდან გამოტანილ იქნა ნაყარი მიწა და გაუკეთდა რკინის კარი.

დუშეთზე მიმავალი გზის განშტოებასთან ახლოს, მთაზე შეიმჩნევა მრავალი გამოქვაბული, ხოლო მათ ზემოთ ბოდორნის გუმბათიანი ეკლესია, აგებული 1772 წელს. ეკლესიას გაუკეთდა ახალი სახურავი, შეიცვალა დაზიანებული კარნიზი.

არაგვის მარცხენა ნაპირას მდებარეობს სოფელი ჩინთი. აქ კლდეზე მიშენებულია ორი კოშკი, ხოლო მესამე ცალკე დგას და კარგად ჩანს არაგვის მეორე ნაპირიდან (გზიდან). ყველა კოშკი შეკეთებულია. განსაკუთრებით სა-



სოფ. ჩინთა (დუშეთის რაიონი) სვეტრ. საშხ. ფასადი. რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ.

Сел. Чинти (Душетский р-н). Башня, южн. фасад. До и после реставрации.





ქართვის.

Хертанси.



დარჩაღლის ხეობა.

Дарьинское ущелье.

ყურადღებოა და ორიგინალური ცალკე მდგომი ხუთსართულიანი კოშკი. მისი ზემო ნაწილი ოთხკუთხა ფორმისაა, ხოლო ქვემო კი კუთხეებმომრგვალებული. ამასთანავე გადასვლის ადგილას კუთხეებში მოთავსებულია სტალაქტიტები. ასეთი კოშკის ანალოგები არ გვხვდება. ყველა მონაცემებით იგი XVII საუკუნეს მიეკუთვნება. აქ მოეწყო გადახურვები შეკეთდა კედლები და სტალაქტიტები, კოშკს გაუკეთდა რკინი კარი.

შემდეგ გზა გადის სოფელ ჭინვალთან, რომელიც ამჟამად დატყლილია პიდროკომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით. რათა წყლის ქვეშ არ მოქცეულიყო ამ ტერიტორიაზე მდებარე ძეგლები, იგი გულდასმით იყო შესწავლილი არქეოლოგ რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით. ყველა მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი კი უკვე გადავიტანეთ საგანგებოდ შერჩეულ ადგილებზე. დღემდე „მილახვრიანთ“ სასახლის ტერიტორიაზე გადატანილია მცირე აკლდამა, დიდი აკლდამა, მცირე აკლდამა ეკლესიით. სხვა შერჩეულ ადგილას გადატანილია სერთვისის კოშკი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ჭინვალის უზარმაზარი ზურგის კოშკის გადასატანად, რაც რთულ ტექნიკურ საკითხებთანაა დაკავშირებული. ყველა ამ სამუშაოს და ძეგლთა რესტავრაციას ასრულებდნენ არქიტექტორები ხოდარ მინდორაშვილი და აკაკი შავერდამილი.

არაგვის მარცხენა მხარეს, მაღალ მთაზე შემორჩენილია ჭინვალის ოდე-სლაც ძლიერი ციხის ნანგრევები. სამწუხაროდ ამჟამად იგი სრულიად მიუდგომელია და მისი რესტავრაცია არ ხერხდება.

სამხედრო გზის მშენებას უცილობლად წარმოადგენს ანანურის ანსამბლი. მართლაც აქ ყველაზე სრულად და უკეთესად არის შემონახული კომპლექსის ყველა ნაგებობა: ვალავანი კოშკებით, ხევსურული კოშკი პირამიდული დაგვირგვინებით, ღვთისმშობლის დიდი გუმბათიანი ეკლესია, მეორე გუმბათიანი ეკლესია „ღვთაება“, ერთნავიანი ეკლესია „მკურნალი“ ღია ფანჯარტიანი სამრეკლოთი, წყალსაცავები და სხვა სამეურნეო ნაგებობანი. ყველა ეს ნაგებობა იყო განახლებული და საფუძვლიანად რესტავრირებული (არქიტექტორ-რესტავრატორი გ. კალმახელიძე).

ანანურის შემდეგ სოფელ ნისისძირში მდებარე ეკლესიის კედლები გამაგრდა, მოეწყო ახალი კრამიტის სახურავი და გაუკეთდა კარები.

ხანდოს ხევთან გზის მარცხნივ ტყეში გაიწმინდა და აღდგა ხანდოსის კოშკის კედლები და სახურავი. სოფელ ჭართალის მახლობლად, არაგვის მარცხენა ნაპირას მდებარე დიდ კოშკზე ამალღდა კედლები და თვით კოშკიც დაგვირგვინდა.

ფსანანურის ზემოთ სოფელ ჩოხელში დგას გვიანფეოდალური ხანის მცირე ეკლესია „ადგილის დედა“. ამ ეკლესიის კედლები შეკეთდა ეკლესია დიხურა კრამიტის სახურავით, გაუკეთდა ლითონის კარი. სოფელ ნაღვარეში არის ეკლესია მცირე სამრეკლოთი, ეკლესიის დასავლეთის კარი მომართულია მთის ფერდობისაკენ, საიდანაც ნიაღვარი ჰუდამ ავსებს ეკლესიას თიხითა და ქვებით. ეკლესიაზე მოეწყო სახურავი, კედლები განახლდა და შეილესა, შიგნიდან გამოტანილ იქნა უამრავი მიწა და ქვები. ამასთანავე გაშენდა საგანგებო კედლები ეკლესიის ნიაღვრებისაგან დასაცავად.



სოფელ ნაღვარევის მოპირდაპირე მხარეს, კარავის მარჯვენა ნაპირზე აღდგენილია წმ. მარინეს ეკლესია და მის გვერდით მდებარე ქვანახევარე-ყო ახახელელი საფეხურები, გამაგრდა კედლები, გაუკეთდა კარები.

შემდეგი სოფელი სამხედრო გზაზე ქვეშეთია. აქ უკვე მკვეთრად იცვლება ბუნება, ქრება ტყეები, ლანდშაფტი უფრო მკაცრია და მთები დაფარულია ალპური მყინარეებით. ბევრია როდოდენდრონის ბუჩქები. ქვეშეთში თავის დროზე ყოფილა საფოსტო სადგური და მთიელ ხალხთა გარნიზონის უფროსის რეზიდენცია. გადმოცემით აქ ღამე გაუთევიათ ა. გრიბოედოვს და მ. ლერმონტოვს ხოლო პეშკინმა დაწერა თავისი შესანიშნავი ლექსი „ქართლის სერებზე“. აღდგენილ იქნა ქვეშეთის ქვედა ციხე. აქ გამაგრდა და ოდნავ ამალდა ციხის კედლები, მოეწყო ლითონის კარი. ასევე ქვეშეთის ზედა ციხეზე აღდგენილია კედლები და ჩამოიკიდა ახალი კარი.

სოფელ ქვეშეთში მდინარის მარცხენა მხარეს მდებარეობს ე. წ. „თეთრი სამრეკლო“ (მისი კირით შელესილობის გამო). აქ რესტავრირებულია კედლები ფიქალით, რომლებიც შემდეგ შებათქაშდა და კვლავ დაიფარა კირის საღებავით. აქვე მდებარე ციხე-კოშკზე მოეწყო მისახველელი გზა, აღდგენილია ციხის კედლები და მისი ტერიტორია განთავისუფლდა მიწისა და ქვებისაგან.

სოფელ მლეთამდე რამოდენიმე ძეგლია. სოფლის თავში დგას პატარა და რბაზული ეკლესია. აქვე მახლობლად ბორცვზე არის მეორე უფრო მცირე ზომის ეკლესია. სოფლის ბოლოში დგას ვალაენით შემოზღუდული ეკლესია — „ადგილის დედა“ მის მახლობლად XIX საუკუნის რუსული ეკლესია. ყველა ეს ძეგლი იქნა რესტავრირებული. გაიწმინდა ინტერიერი, კედლები გამაგრდა ან განახლდა, შეიცვალა სახურავები, კარ-სარკმლები და სხვა.

მლეთის შემდეგ გზა მკვეთრად მიიმართება ზემოთ სოფელ გუდაურამდე (2157 მეტრი). აქ ყველაზე მაღალ დასახლებულ ადგილას შემორჩენილია ძველი საფოსტო სადგური, რომელიც სამხედრო გზის მუზეუმად იქნება გადაკეთებული. აქვე აღდგება ძველი დუქნები, სავაჭროები, რომელთა ნაშთები ჯერ კიდევ შემორჩენილია.

ჯვრის უღელტეხილთან ახლოს ბორცვზე ერეკლე II დავალებით დასახლებულა ოსი თათია ბიდაროვი, რომლის მოკალებობას შეადგენდა გზააბნეული მგზავრების გაფრთხილება ქარბუქისა ან ზევის შემთხვევაში ზარის შემკვობით. ეს სახლი ამჟამად სრულიად დაქცეული დაგვხვდა და თავიდან აშენდა არსებული ფოტოების მიხედვით. ამგვარად გზას შეემატა კიდევ ერთი საყურადღებო შემორჩაღური ძეგლი (არქიტექტორ-რესტავრატორი შალვა ცინცაძე).

გიორგიწმინდის ციხე ირველი სადარაჯო იყო მდინარე თერგზე. ეს კოშკი ღებულობდა ნიშნს მტრის მოახლოების შემთხვევაში და ბოლის საშუალებით გადასცემდა მეზობელ კოშკებს. აქედან გზა თანდათან ეშვება. გზის მარჯვენა მხარეს ციციბოო კლდეზე დგას მაღალი საგუმავო კოშკი და მის მახლობლად ბაზილიკა სიონი, რომელიც IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. ორივე ძეგლი ამჟამად აღდგენილია. ბაზილიკას გაუმაგრდა საძირკველი, აღდგენილია კედლები, ტორკრედით შევსებულია ბზარები. ასევე გამაგრდა კოშკის კედლებიც.

სოფელ გარბანის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს დგას IX-X საუკუნეების „ოქროს წმინდა გიორგის“ ეკლესია. ეს თვალსაჩინო ძეგლი უკვე აღდგენილი იყო ჩვენი რესტავრატორების მიერ რამდენიმე ადრე და ახალ სამუშაოს არ მოითხოვდა.

შემდეგი სოფელი სწო მართალია სამხედრო ვზას დაშორებულია, მაგრამ სოფელში მდებარე ციხე იმდენად მნიშვნელოვანია და ცხოველხატული, რომ მისი რესტავრაცია აუცილებლად მივიჩნიეთ. ციხე აგებულია მდინარესთან განმარტოებით აღმართულ კლდეზე და ისეა მასთან შეზრდილი, რომ ერთიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს XVI-XVII სს. აგებული ციხე ამჟამად რესტავრირებულია. გამაგრებულია ვალავანი, მისი მთავარი კოშკი სართულშუა გადახურვებით და სხვ. (არქიტექტორ-რესტავრატორი თ. აბრამიშვილი).

რაიონულ ცენტრში ყაზბეგში ჩატარდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რესტავრაცია. როგორც ცნობილია ეს შენობა ეკუთვნოდა მწერალ ალექსანდრე ყაზბეგის მამას და ამგვარად მემორიალური ძეგლია.

ყაზბეგის მთის კალთებზე, 2170 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ამ ხეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი გერგეტის სამება. ვუშბათიანი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV საუკუნის პირველ ნახევარში. ძეგლი მთლიანად და საფუძვლიანად იქნა რესტავრირებული არქიტექტორ-რესტავრატორის გ. კალმახელიძის მიერ.

თერგის ხეობის ვიწრო ადგილას, 60 მეტრის სიმაღლის ფრიალო კლდეზე შემორჩენილია დარიალის ციხის ნანგრევები. სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ის უძველესი ციხე, რომელსაც პლინიუსი იხსენიებდა და შემდეგ V საუკუნეში გაამაგრა და გააშენა ვახტანგ გორგასალმა. აქაც ჩატარდა მცირე სამუშაო კედლების გამაგრების და ციხის გამოქვინის მიზნით.

გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილეს აღსანიშნავად გადაწყდა ერეკლე II-თან დაკავშირებული თელავის ბატონის ციხისა და სასახლის რესტავრაცია. ბატონის ციხე, თელავის ცენტრში, აგებულია ერეკლე II მიერ XVIII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში არსებული სასახლის გარშემო. ანსამბლის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს არჩილ მეფის მიერ XVII საუკუნის სამოციან წლებში აშენებული სასახლე. XVIII საუკუნეში სასახლეში გარკვეული ცვლილებები შეიტანა ერეკლემ, ხოლო XIX საუკუნეში შენობა იმდენად გადააკეთეს, რომ სრულიად დაიკარგა მისი პირვანდელი სახე. ჯერ იგი გამოყენებული ყოფილა საჯინიბოდ, შემდეგ გადაკეთდა სამაზრო უწყების კანცელარიად, ხოლო ბოლოს აქ არსდება წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი.

სასახლის პირვანდელი სახის გამოვლენისათვის ჩატარდა შრომატევადი და რთული სამუშაო. ყველა შემდგომი ფენების მოშორების შემდეგ (არქიტექტორ-რესტავრატორი ზ. მელინითუხუცესი). გამოვლინდა მისი პირვანდელი კომპოზიცია, სივრცითი გადაწყვეტა და კონსტრუქციები. აღარ იყო შემორჩენილი ხის მხატვრული ელემენტების უმრავლესობა (სვეტები, კარსარკმლების ალათები, კედლების გაფორმება და სხვ.), რომელთა ნაწილობრივი აღდგენა მოხდა ანალოგების მიხედვით. აღდგენილი სახით თელავის სასახლე წარმოადგენს წავრძელებულ დიდ დარბაზს, განკუთვნილს ზეიმებისა და აუდენციებისათვის. დარბაზს გარს უვლის გარშემოსავლელი, რომლის კუთხეებში მოთავსებულია მცირე ოთახები კამაროვანი გადახურ-



ვით. ერთ-ერთ მათგანში გარდაცვლილა ერეკლე II. ფასადების, მხატვრულ სახეს ძირითადად განსაზღვრავდა კუთხურ ოთახებს შორის ექვსკუთხედებს ყველა მხარეს შექმნილი ლოჯიების მსგავსი ღრმა უბეები სვეტნართით. როგორც სასახლის გეგმა, ასევე მისი კედლების დამუშავება — შეისრული ნიშებითა და სარკმლებით დანაწევრება ორ რევისტრად, უცილობლად მიგვანიშნებს ირანული არქიტექტურის გავლენაზე, რაც ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია (ძალიან სასახლე, კოდისწყაროს სასახლე და სხვ).

სასახლის შემდეგ ასევე რესტავირებულია კარის ეკლესია, მეორე დიდი ეკლესია, აბანო, გალავანი და კოშკები, შესრულდა სასახლის უზოკეთილმოწყობის სამუშაოები.

სიღნაღი შეიძლება ყველაზე ცხოველხატული ქალაქია საქართველოში. თავისი მდებარეობისა და რელიეფის წყალობით იგი შესანიშნავად ჩანს ქვემოდან — ალაზნის ველიდან. არა ნაკლებ შთამბეჭდავია ზემოდან, როდესაც თბილისიდან მომავალი გზით ეშვები მისკენ. სიღნაღი ყველაზე ახალგაზრდა ისტორიულ ქალაქთა შორის. იგი მხოლოდ 1770 წელს გააქალაქა ერეკლე II, მანამდე კი აქ მცირე დასახლება ყოფილა. მანვე მოახდინა სიღნაღის ციხე-გალავნის საფუძვლიანი გაფართოვება და რეკონსტრუქცია. ეს გალავანი ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. მისი სიგრძე 4 კილომეტრს აღწევს, აქვს 23 კოშკი და 6 შესასვლელი. ამჟამად სიღნაღის ციხე-გალავნის ცენტრალური უბნები რესტავირებულია (არქიტექტორ-რესტავრატორი ქუყარაშვილი). ამ სამუშაოს ასრულებს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

გეორგიევსკის ტრაქტატისათვის გადაწყდა სიღნაღის ერთ-ერთი ცენტრალური სავაჭრო უბნის რესტავრაცია-რეგენერაცია. მთლიანად პირვანდელი სახე მიიღო ერთმა ქუჩამ და მიმდებარე მოედანმა. ყველა სახლს გაუმაგრდა კედლები, გაიხსნა ამოქოლილი სავაჭრო დარბაზები, განახლდა აივნები და შესანიშნავი ძველი სარდაფები, სადაც მალე ახალი სიცოცხლე შევა. სიღნაღის ამ უბნის რეკონსტრუქცია მოხდა სულ ერთი წლის მანძილზე, რაც უცილობლად არქიტექტორ-რესტავრატორების (ნ. გამსახურდია, დ. მჭედლიძე, ი. ნაგლაძე) და მშენებლების დიდი დამსახურებაა.

სიღნაღში მთავრდება ერთ-ერთი შესანიშნავი, ტიპური სიღნაღური სახლის რესტავრაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის სიღნაღური სახლები მეტად ინდივიდუალურია და მკვეთრად განსხვავდებიან ამავე დროის თბილისისა და თელავის სახლებისაგან. რესტავრაციის შემდეგ გადაწყვეტილია აქ მოეწყოს ქორწინების სახლი (არქ. ა. ხოლომნიშვილი).

სიღნაღში გეორგიევსკის ტრაქტატისათვის შესრულებული სარესტავრაციო ღონისძიებანი, დასაწყისია იმ დიდი მუშაობის, რომელიც ჩატარდა უახლოეს წლებში, მთელი ქალაქის განახლების მიზნით.

ჩვენ აქ მოკლედ შევხვით იმ სამუშაოებს, რომლებიც ჩაატარა ძველთა დაცვის მთავარმა სამმართველომ ზეიმთან დაკავშირებით.

„გრუზინოს“ გეგმარების დახასიათებისათვის

„გრუზინო“ (გრუზინი) ქ. მოსკოვის გარეუბანში XVIII ს. დაარსებულ ქართველთა დასახლებას ეწოდებოდა. მისი მშენებლობა 1725 წელს განხორციელდა საქართველოდან 1724 წ. ელტოლივლ მეფე ვახტანგ VI ამაღლის დასახლებლად. რუსეთის ხელისუფლებამ ელტოლივლები 1200 აცის შემადგენლობით დიდი პატივით მიიღო და მათი დასახლებისათვის ადგილი, საჭირო თანხა და სამშენებლო მასალა გამოყო.

დასახლებისათვის გამოყოფილი ადგილი იმდროინდელ ქ. მოსკოვის გარეუბანში მდებარეობდა. მას მდ. პრესნასა და მდ. კაბალიხას ქვედა დინების ჭალები და წყალგამყოფი მცირე ქედი ჰქონდა დათმობილი. დღევანდელი მოსკოვის გეგმარებაში ეს ტერიტორია — კრასნოპრესნის რაიონში, ზოოპარკის ზევით მდებარეობს, ბოლშაია და მალაია გრუზინსკიას ქუჩებს შორის. ზევიდან მოსაზრვერ ქუჩას კურბატოვის შესახვევი ეწოდება.

თვით ვახტანგ VI — სარეზიდენციოდ, აქვე პრესნაზე მდებარე, რიაზანის ყოფილი შიტროპოლიტის სტეფანეს სასახლე მიუჩინეს თავისი მიწის ნაკვეთით.

ვახტანგ VI თან ახლდა შვილები. მამინ უკვე განთქმული მეცნიერი, ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი, საზოგადო მოღვაწე ბაქარი და გიორგი ბაგრატიონები.

როგორც 1766 წელს შედგენილ აღნიშნულ დასახლების გენერალურ გეგმიდან ჩანს გამოყოფილი მიწები მეფემ საკუთრებად თავის ოჯახის წევრებს გადასცა. უკანასკნელებმა კი თავთავის მიწებიდან სამოსახლო ნაკვეთები, საკუთარ მხლებლებს გამოუყვეს. ვაიშალა მშენებლობა ისე, რომ ერთდროულად 60 სახლამდე აუშენებიათ. ამგვარად პრესნაზე მალე გაჩნდა დასახლება „გრუზინსკიე სლაბოდი“, მოედნითა და ქუჩებით. ეს მოხდა 1729 წელს. გრუზინო მშენებლობის ერთ პერიოდს მოიცავდა და როგორც ირკვევა ის ქალაქური ტიპის დასახლებას წარმოადგენდა, მართალია მცირე მასშტაბის, მაგრამ მაინც ჰქონდა, როგორც იმ დროის ქალაქებისათვის საერთოდ, ისე ახალ განვითარების საფეხურზე შემდგარი ჩვენი ქალაქებისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ელემენტი: მოედანი, მაგისტრალური ქუჩა, საგანგებოდ გამოყოფილი ადმინისტრაციული ცენტრი — მმართველი წრის რეზიდენცია, სადაც სახლობდა პოლიტიკურად ერთიანი ბირთვი. საყურადღებოა ის მომენტიც, რომ მას ჰქონდა ქალაქისათვის ჯერ კიდევ აუცილებელი ელემენტი — გარეუბანი — თავისი ბაღებით, ბოსტნებითა და საძოვრებით.

ახეთი, იმ დროისათვის დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის მშენებლობის ერთბაშად განხორციელება, ვფიქრობთ წინასწარი პროექტის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მისი მშენებლობის განმარტვლებლად მეფე ვახტანგ VI ხოლო ავტორად ან მთავარ მონაწილედ „ლანკიტების“ (ლანდარტი) კარგი მგოდნე, 1735 წ. საქართველოს რუკების „დამხაზველი“, თვით ქალაქ თბილი-

სის გენერალური გეგმის გადამღები, იქვე ემიგრაციაში მყოფი ვახტანგ VI შვილი ვახუშტი ბაგრატიონი უნდა ვიგუვლოთ.

შვეყადოთ წარმოვიდგინოთ თუ როგორი იყო „გრუზინსკიე სლაბოდის“ გეგმარება.

1766 წლის გენერალური გეგმისა და დღევანდელი მოსკოვის ამ უბნის გეგმარების შედარებისას, ვარკვევთ, რომ გარეუბნის მთავარ ქუჩას მაშინ ქ. ტვერისაკენ მიმავალი გზა წარმოადგენდა. უკანასკნელი დღეს ბოლშაია გრუზინსკაიად წოდებული ქუჩის ქვედა ნაწილია. ქუჩა ბოლშაია გრუზინსკაია გენერალურ გეგმაზე აღნიშნულ მდ. კაბალისის პიპართულებას ემთხვევა და გაჩნდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, აღნიშნული მდინარის გადახურვის შემდეგ. ასევე, მდ. პრესნას გადახურვის შემდეგ გაჩნდა ქუჩა „ნოვოპრესნენსკი პერულოკ“-ი. უკანასკნელიდან დასავლეთით მდებარე ქუჩა მაღაია გრუზინსკაიას სახელწოდებით, უფრო ადრე ცნობილი იყო როგორც სლაბოდის „ბალებში მიმავალი გზა“. ამ უკანასკნელსა და სლაბოდის მთავარ ქუჩას (ტვერისაკენ მიმავალი გზა) აერთებდა მართივ: დ მდებარე გზა, რომელსაც „ტვერისაკენ მიმავალ გზიდან ბალებისაკენ მიმავალი გზა“ — ეწოდებოდა. ის ქართველების, წმ. გიორგის, ეკლესიის საშრეთით გადიოდა. ამ ქუჩაზე გამწვლეული, ეკლესიის შემდეგ მცირე დაღმართს ჩაივლიდა, მდ. პრესნას ტბასთან შედინების ახლოს, ტბის ვიწრო ყელზე გადადებულ ხიდს გაივლიდა და ბალებში მიმავალ გზაზე გავიდოდა. დღეს ამ გზას იგივე მდებარეობა აქვს და „გიორგევსკის პერულოკს“ უწოდებენ. ეს დასახლება ქუჩას აქვე მდებარე წმ. გიორგის ეკლესიის გამო უნდა მიეღო. ეკლესია აგებულია 1788-1793 წლებში მეფე ვახტანგ VI წულის გიორგის მიერ, ადრე ამ ადგილზე მდებარე ქართველების ხის ეკლესიის ნაყვლად.

აღნიშნული ეკლესიის აღმოსავლეთით იწყებოდა მოედანი, რომლის დიდი ნაწილი მთავარი გზის გასწვრივ გამოდიოდა. მოედანს, რომელსაც თავდაპირველად „გიორგევსკი“, ხოლო შემდეგ „გრუზინსკი“ მოედანს უწოდებდნენ, ძირითადად სამხრეთიდან ჩრდილოეთით გაწოლილი სწორკუთხედის ფორმა ჰქონდა. განაშენიანების გეგმარების მთავარი ელემენტი — მოედანი, ქართველთა კოლონიისათვის საზოგადოებრივ დანიშნულებას ასრულებდა, მის ირგვლივ განთავსებული იყო ვახტანგ VI უფლისწულის მამულები; მოედნის დასავლეთით ვახუშტის სამფლობელო მდებარეობდა (გენგეგმაზე № 37), სამხრეთ-აღმოსავლეთით ბაქარის (№ 39), სამხრეთ-დასავლეთით გიორგის ეკლესია (№ 38) — „გრუზინების“ თავშესაყარი. აქ ხდებოდა თვითეული მაგანის საერთო და ღერძო — ჭირისა და ლხინის გაზიარება. ჩრდილოეთიდან მოედანს დედოფალ ანას სამფლობელო ესაზღვრებოდა (№ 36).

აღმოსავლეთიდან მოედანი გამოდიოდა გეგმარების ძირითად მაგისტრალზე — ტვერისაკენ მიმავალ გზაზე, ან უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ გეგმარების ძირითადი მაგისტრალი აქედან — მოედნიდან იწყებოდა. ეს ქუჩა ორ მდინარეს, პრესნასა და კაბალისის შორის მოთავსებულ წყალგამყოფ მცირე ქედის ზურგზე იყო გაწოლილი. ქუჩის დასავლეთის მხარეს ქვედა ნაწილზე, როგორც ვთქვით, მდებარეობდა მოედანი და ეკლესია, ზედა ნაწილზე კი, რომელიც თავის მდებარეობით ბატონობდა ქართველების დასა-

სახლებლად ნაბოძებ სხვა ტერიტორიაზე, უმაღლესი, არისტოკრატიის - მეფის ოჯახის წევრების, დასახლებისათვის იყო შერჩეული.

მაგისტრალური ქუჩის აღმოსავლეთის მხარეზე გამოდიოდა მდ. კაბალიხის ვასწვრივ დაქანებული ფერდობი, რომელზედაც ურთიერთ მიჯრით სახლები და მათი ეზოები იყო ჩამწკრივებული.

მდ. კაბალიხის ქვედა ნაწილის მორკალური დინებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, მოედნის სამხრეთით, მთავარი ქუჩის გაგრძელებაზე მდებარე ქუჩის მოხაზულობა. ეს ქუჩა საერთო გვეგმარებაში მეორე ხარისხოვანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი გვეგმარება მთავარის მსგავსად იყო გადაწყვეტილი; მარჯვენა მხარეზე მოთავსებული იყო უფლისწულ ბაქარის ამალის წვერთა საცხოვრებელი სახლები, მარცხენა კი თვით ბაქარს ეკუთვნოდა.

ახეთ სქემაზე იყო აგებული გრუზინოს დაგვეგმარება. ეს იმ დროის (XVIII ს. დასაწყისი) საქართველოს ქალაქთმშენებლობის ხელოვნების იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. ამ დროის ქართული ხუროთმოძღვრებისა და საერთოდ ხელოვნების შესწავლისას მკაფიოდ ჩანს, რომ უკვე XVIII ს. დასაწყისის ქართველი ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილმა კულტურის მხრივ „ევროპის“ უპირატესობა აღიარა. საზოგადოების განვითარების ეს ტენდენცია კარგად შეიმჩნევა ქ. თბილისის ძველი ნაწილის XIX საუკუნის პირველი ნახევრის საცხოვრებელ სახლების ხუროთმოძღვრებაში აღნიშნულ ორ დროს შორის მონაკვეთზე, მომხდარი ძვრები კი „ევროპული ცხოვრებისა“-დმი შინაგანი მოთხოვნილების, საზოგადოდ, ყოველდღიურსა და თანდათანობით გაძლიერებაზე მეტყველებს.

გრუზინოს გვეგმარების ჩონჩხის ძირითად ნაწილს, როგორც დავინახეთ დღესაც კარგად შეიძლება ადგილზე მივაღვენოთ თვალი.

1766 წელს შედგენილი გენერალური გვეგმის და მოსკოვის ამ უბნის დღევანდელი (1970 წ.) გვეგმარების ადგილზე ურთიერთდაპირისპირებამ რიგი მნიშვნელოვანი წინასწარი დასკვნების გაცემების საშუალება მოგვცა. აქ შილოდ მოკლედ შევჩერდებით ზოგ მათგანზე, სახელდობრ:

1. ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე დღეს არსებული სკვერი, სადაც დაღმებულია რუსთაველის ძეგლი, იმ დროს უმეტესად ქართველების სახლების ეზოებს ეკუთვნოდა.
2. რუსთაველის ძეგლიდან დასავლეთით, ბაღის გადაღმა არსებული ორსართულიანი კუთხის სახლი (ბ. გრუზინსკაია № 19/1) 1766 წ. გენერალური გვეგმის მიხედვით (№ 8) დარჩენილი უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონის სასახლიდან. იგი ორსართულიანია, ქვედა აგურით, ხოლო ზედა ხის მორებით არის აგებული.
3. აღნიშნული სკვერის ჩრდილოეთით - ქუჩის გადაღმა ეზოს სიღრმეში ოთხსართულიანი სახლის პირველ სართულში სხვა სახლის ნაწილია შემონახული. როგორც ამ უბნის ხანდაზმული მცხოვრებლები ამბობენ: „ქართველებს შეფის სასახლიდან“ დარჩენილ ამ ძველ „აგურის სართულს“ ხის მეორე სართული მოხსნეს და აგურის სამი სართული დაამყენეს“-ო (დამყენების ფაღი კარგად შეიმჩნევა).

გაეისხენოთ, რომ 1729 წელს ვახტანგ VI საცხოვრებლად რუსეთის მთა-



მოსკოვი წმ. გიორგის ეკლესია
პორტიკი.

Москва. Церковь св. Георгия. Пор-
тик.

ვრობამ პრესნაზე რიაზანის ყოფილ მიტროპოლიტის სტეფანეს სახლი უბოძა თავისი მიწის ნაკვეთით, ხოლო ამაღის დასასახლებლად გადასცა აქვე მდებარე მიწები. რამდენიმე წლის შემდეგ 1731 წ. ვახტანგ VI სარეზიდენციოდ უკეთესი ნაგებობა უბოძეს არბატში. ეს იყო ამაღლების მონასტერთან მდებარე დოლგორუკოვის ქვით ნაგები სასახლე.

საბუთებიდან ჩანს, რომ ქართველ მოსახლეობის მიერ აღძრული თხოვნის დასაკმაყოფილებლად, რუსეთის მთავრობამ 1735 წელს დამატებით გადასცა მიტროპოლიტ სტეფანეს ყოფილი სასახლის მანლობლად მდებარე მიწები ამის შემდეგ არ ჩანს, რომ დასახლება გრუზინო ვაფართოებულყო. ვფიქრობთ, 1766 წელს შედგენილ გენერალურ გეგმაზე ქართველების დასახლება სწორედ ამ ფარგლებითაა მოცემული.



17. 204
მოსკოვი. წმ. გიორგის ეკლესია. იქ-
ლე სამხრეთიდან.

Москва. Церковь св. Георгия, вид
с юга.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ, რომ აქ მოკლედ შევხვეთ რუსი და ქარ-
თველი ხალხის კულტურის ურთიერთდახლოების ისტორიის მატერიალურ
ძეგლს, რომლის შესახებ მსჯელობა და წინასწარი კვლევა დასაწყისია იმ დიდ
და გაღაუღებელი საქმისა, რომელიც წარმოადგენს მის მეცნიერულ დაცვასა
და ხანგრძლივ საფუძვლიან კვლევით შესწავლას.

აქ მოგვყავს გენერალურ გეგმას თანდართული ლეგენდა ორიგინალის ენა-
ზე. ვფიქრობთ ის საინტერესო იქნება, როგორც ჩვეულებრივ მკითხველისათ-
ვის, ისე ჩვენი ისტორიის მკვლევართათვის.

Геометрический план увеличенной по масштабу ... им азиатском
двойне* сажен для помещения состоящих в Пресниной даче их светлости
грузинских царевичей, его (выс)ого превосходитель(ства) покойного господина
генерал лейтенанта и капитана Вакара и его высокопревосходительства (гос-

ქ. მარტენი ს. ს. სსრ
სახ. მეცნიერებათა აკადემია
მოსკოვი



под) и на генерал лейтенанта ж и когалера Георгия Вахтангеевича дворов грузинских князей и дворян и разных чи(нов)** людей, которых означат в описании по назначенным на сем плане номерам между №№ 1 и 26-го в 1766-ом году июля 21-го дня землемера капитана, что ныне секунд майор Семена Кочукова.

№	Описание дворов состоящих в Пресвицкой даче	десятины	квадратные сажени.
1.	Двор грузинской дворянки Марьи Алексеевой Цымакурizeвой	650	1/2
2	Двор его светлости царевича Георгия Вахтангеевича, служителя ево грузина Бежана Кочезова.	195	
3	Двор отставного капитана князь Филипа Анофриеса сына Челакаева	1240	
4	Двор его светлости грузинского царевича Вахушти Вахтангеевича	435	
5	Двор грузинской княгини Елены Хваболовой	435	
6	Двор его светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича, служителя Вориса Потапова	216	
7	Двор грузинского дворянина Александра Тарасова.	476	
8	Двор его светлости грузинского царевича Вахушти Вахтангеевича	476	
9	Двор грузинского архиерея Филिमона подьякова Ивана Иванова	220	
10	Двор грузина Бориса Иванова сына Паткалзева	189	1 1/2 ар.
11	Двор грузина Дмитрия Чочатзе	112	1 ар.
12	Двор покойного грузинского царевича Бакара Вахтангеевича супруги ево княгини Анны Егоровны.	224	
13	Двор вольного грузина Ивана Дмитриева	246	
14	Двор вольного ж грузина Антона Егорова	313	2 ар.
15	Двор отставного поручика князь Николая Кахаберизева	828	1 ар.
16	Двор вольного грузина Бориса Борисева сына Цымманлизе	84	
17	Двор его светлости грузинского царевича Бакара Вахтангеевича служителя ево Матвея Макарова	161	1/2
18	Двор московского первого батальона прапорщика Василия Тулаева	180	2 ар.
19	Двор отставного гусара Петра Захарова сына Черкеза	84	
20	Двор Манетной экспедицы подпоручика Янзма сына Тулаева	203	1 ар.
21	Двор грузинского князя Дмитрия Садатзе	1170	
22	Двор грузинской царевны Анны Вахтангеевны служителя Ти хона Федотьева	48	
23	Двор ее сиятельства княгини Анны Егоровны служителя Якова Козмина	45	
24	Двор его светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича вдовы дворовой женки Авдотьи Ивановой	117	
25	Двор ее сиятельства княгини Анны Егоровны служителя Ивана Михайлова	95	
26	Двор ее сиятельства княгини Анны Егоровны служителя Егора Федорова	132	

* Многоточия поставлены на месте утраченного текста.

** В квадратные скобки поставлен утраченный текст, дописанный по смыслу.



საქართველოს
 ეროვნული ბიბლიოთეკა

27 Двор вдовы поручицы Авдотьи Ивановой дочери Хвалозовой	225
28 Двор его светлости грузинского царевича Вахушти Вахтангевича служителя Егора Алексея	174 1 ар.
29 Двор вольного грузина Михаила Егорова	112 1/2
30 Двор вольного грузина Егора Иванова	112
31 Позади оного двора двор княгини Анны Егоровны служителя Онтама Яковлева	78
32 Двор господина генерала майора князя Елисея Потаповича Амилехорова служителя его Семена Потапова Влгулова	110
33 Огород его ж. господина князя Милохорова, служителя Петра Тертерова	104
34 Двор господина генерала майора князя Елисея Потаповича Амилехорова	786
35 Двор грузинского архиерея Филлимона	340
36 Двор ее светлости грузинской царевны Анны Хосоровны	2 1837
	3 520
37 Двор его светлости грузинского царевича Вахушти Вахтангевича под тем же 37-м №-ом двор грузинского дворянина Осипа Чумартица	304
38 Погост церкви Георгия Стратотерца	760
39 Двор покойного грузинского царевича Бакара Вахтангевича супруги его вдовствующей княгини Анны Егоровны	1 1269
40 Двор грузинского протопопа Анисима Евсевьева	220
41 Двор грузинского дворянина Зураба Егорова сына Чирикова	348
42 Двор ее сительства княгини Анны Егоровны служителя Ермолия Афонасьевича	154
43 Двор московского третьей гильдии купца Алексея Нишафорова	130
44 Двор грузинского дворянина Евсея Семенова сына Точилова	218
45 Двор грузинского дворянина Осипа Егорова сына Санагиза	105 1/2
46 Двор ее сительства княгини Анны Егоровны служителя Ивана Федорова	201 1/2
47 Двор грузина Назара Егорова	138 1/2
48 Двор грузинской жены вдовы Варвары Михайловой	252
49 Двор грузина Ивана Павлова	72
50 Двор грузина Евстафия Егорова покойного царя Вахтанга Леоневича кухмистера	120
51 Двор грузинского дьякона Да(ви)да Николаева	210 1/2
52 Двор грузина Сергея Борисова	560
53 Двор грузина Ивана Борисова	144
54 Двор грузина Адама Зугатова	152
55 Двор грузинской жены Варвары Давыдовой	180
56 Двор грузина Егора Иванова сына Кутамедова	301
57 Двор титулярного советника Вельямина Егорова сына Аншемурга	539
58 Армянская церковь и кладбище оной	576 1/2
59 Двор армянина Осипа Григорьева сына Нераппова	675
60 Двор армянина Павла Петрова сына Анциера	500
61 Двор пример майора князь Давида Мочевелова	1120
62 Двор грузинского князя Исак Андронникова	812
63 Двор надворного советника князь Дмитрия Павловича Цищанова	846
64 Двор поручика князь Ивана Давыдова сына Эрестова	374

65	Двор грузинов Давыда Васильева сына Кричалова и Дарыда Назарова сына Кричалова ж	253
66	Двор его светлости грузинского царевича Егора Бодаяшвили Алмазных дел мастера Сергея Александровича сына Дельвоного	253 1/2
67	Двор грузина Захара Егорова сына Кувчины	253 1/2
68	Двор грузинского дворянина Павла Матвеева сына Урамазова	351
69	Двор грека Павла Егорова сына Батзмалева	361
70	Двор вдовы грузинской жены Марфы Герасимовой дочери Заргтзевой	240
71	Двор вдовы греченки Пелагии Довыдовой грека Петровой жены Назарова	264
72	Двор грузина Егора Иванова	234
73	Двор грузинской дворянки вдовы Елисаветы Дмитриевой дочери Тафмелевой	115 1/2
74	Двор грузинского дворянина Павла Афонасьева сына Ревазова	436 1/2
75	Двор ведомства коллеги эконома Покровского монастыря Углицкого уезду деревни Зверковой кружечника Ивана Григорьева	37
76	Двор вольного башкира Ивана Перова	50 1/2
77	Двор гусарского грузинского полку квартирмейстера Бориса Фомина сына Борисова	72
78	Двор его светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича слугителя ево Максима Иванова	104 1/2
79	Двор его ж светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича слугителя Ивана Андреева	297 1/2
80	Двор ее сиятельства княгини Анны Егоровны слугителя Степана Иванова	279
81	Двор вольного грузина Федора Давыдова	238
82	Двор майора Давыда Матвеева сына Панчулидзева	542 1/2
83	Пустырь майора князь Егора князь Юрьева сына Ратнева	416
84	Двор ее сиятельства княгини Анны Егоровны слугителя Егора Иванова	49 1/2
85	Пустырь его светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича слугителя ево Петра Перфильева	176 1/2
86	Двор московской второй гильдии Кадашевской слободы купца Ивана Васильева сына Кривошукского	121
87	Двор ее сиятельства княгини Анны Егоровны слугителя Антона Яковлева сына Черноусова жены его вдовы Авдотьи Агаповой	18
88	Двор вольного грузина Якова Петрова сына Кичкина	216
89	Двор его светлости господина генерал поручника московского обер коменданта и кавалера царевича Афонасья Лесногича пшаной двор потомственное его светлости владение план и межевая книга в 765 году даны под которых земли	5 1727
90	Двор господ статского советника князь Егора да коллежского советника князь Евгения Васильевич детей Амилухоровых, на которой двор план и межевая книга во владении в 1754-м году даны, под которым земли	3 2305
91	Двор отставного капитана князь Николая Семенова сына Богратиони	6 90
92	Двор грузинского принца Левона Бокаровича вдовствующей	



საქართველოს
 ეროვნული ბიბლიოთეკა

судруги ево княгини Александры Яковлевны	4	672
93 Двор его светлости грузинского царевича Вахушти Вахтангеевича	2	592
94 Двор грузинского дворянина Егора Васильева сына Зембулоца		2043
95 Двор московского монетного двора монетника Алексея Степанова сына Колмогорова		92
96 Двор ее сиятельства вдовствующей княгини Анны Егоровны, служительницы ее вдовы грузинской Анны Ивановой дочери		1020
97 Двор вольного грузина Ивана Борисога		810
98 Двор лейб гвардии Преображенского полку капитана поручика князь Николая княж Борисова сына Давыдова		2106
99 Двор грузинского архиерея Афонясы служителя ево Федора Иванова сына Арабитылева		304
100 Двор армянина Михайлы Иванова сына Распопова		495 1/2
101 Двор вдовы капитани княгини Пасковы Арбелиновой	1	370
102 Двор вольного грузина Семена Иванова сына Размазова		418 1/2
103 Двор его светлости царевича грузинского лейбгвардии майора Александр Бакаровича служителя Николая Федорога		330 1/2
104 Двор грузинского священника Егора Иванова		468 1/2
105 Двор коллежского assessora князь... дена Мельхиседекого сына Барата		
106 Двор вольного грузина Бориса Егор		
107 Двор полковника Петра Егорога сына*		
108 Двор его светлости грузинского ц... Георгия Вахтангеевича служителя... Матвея Кочнова		
109 Двор вольного грузина Солом... ева сына Азигильдева		
110 Двор ее сиятельства княгини... жсны служителя Андре...		
111 Двор ее сиятельства княгини... Егоровны служителя грузина...		
112 Двор государственной Юстиц(коллегии) (ко)пенета Петра Ива...		
113 Двор грузинского митро... сия подьякова Ивана Бор...		
114 Двор вдовы ма... Александров...		486
115 Двор вол... ла сына...		256 1/2
116 Двор вольного грузина Федора Егорова сына Зекзиева		232 1/2
117 Двор грузинского дворянина Николая Павлова сына Дез... анова		708
118 Двор грузинских дворян Федора да Егора Егоровых детей Дентисизовых		1255
119 Огород ее сиятельства княгини Анны Егоровны		703 1/2

Сочинен и свидетельствован под моим смотрением
 Майор Петр Горихвостов

Площадь поверял поручик Матвей Копьев,
 мачтаб к плану в английском дюйме 20 сажен.
 С лодиноного копировал штаб юнкер Марка Марденнов.
 К отдаче в государственной Московской архив старых дел.
 Крепил губернской секретарь Михайла Смирнов.

* Текст утрачен.

** Многокопия всюду поставлены на месте утраченного текста.

От А до В белая и стрелецкая земля владения под дворами разных чинов людей.

От В до С дворцовые казенные пруды.

От С до — — шоваринной завод обер директора Михайлы Петрога сына Гусятникова.

От до Е земли бывшего синодального ведомства оставшая са изъ-
тем во 158-м году под выгон владения по дворам разных чинов людей.

От до выгонная земля, взятая во 158-м году из дач сино-
дального ведомства.

От до на выгонной земле поселение дворов разных чинов
людей.

От до пустовая синодальная выгонная земля.

От до земля Тверской ямской слободы ямщиков владени под
дворами разных чинов людей.

На подлинном плане водписано тако: Межевал и сочинил первого класса
землемер секунд майор Семен Козуков. При сем межеванье были и подпи-
сумся, а его светлости царевича грузинского его высокопревосходительства
господина генерал лейтенанта и кавалера Георгия Вахтангеевича поверенной
служитель Михайла Жегулин для приложения руки к планам и межевым кни-
гам по повесткам не явился, статского советника князь Егора да коллежского
советника князь Евгения князь Васильевичев Амидохороых поверенной слу-
житель их Максим Яковлев, генерал поручик и московского коменданта и
ковалера царевича Афонася Грузинского поверенной служитель Семен Петров
сын Булатов, також Тверской ямской слободы поверенной ямщик Иван Михай-
лов сын Жильцов, да Главной Дворцовой Канцелярии канторы по дворцовым
Пресницким прудам поверенной комисар Афонасей Иванов потому ж для
прикладства к планам и межевым книгам рук по повестком же не явились,
вместо сторонних людей салдацкой Бутырской слободы стетавных капрал
Стефана Клюквина, салдата Ивана Данского, ведомства Коллеги Экономы Пет-
ровского монастыря сельца Петровского крестьянин Федора Васильева, Козмы
Никифорова, из Живодерной слободы московского стряпчего Шекешихи сино-
дальных крестьян Родиона Павлова, Тихона Павлова, Аврама Федорова, из
Оружейной слободы Оружейной палаты мастера Андрея Марачева, и Береш-
ковской рыбной слоботки синодальных крестьян Евдокима Михайлова, Михай-
лы Иванова по их прошению церкви Исавна Предтечи, что в Кречетиных
дьячек Иона Матфеев.

სიღნაღი

ქართულ საისტორიო წყაროებში სიღნაღი ქალაქად იხსენიება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თუმცა მისი დასახელება უფრო ადრე გვხვდება. მეფე ერეკლეს ბრძანებით 1770 წელს შედგენილ ქართლ-კახეთის ქალაქთა ნუსხაში სიღნაღიც არის მოხსენებული.

სიღნაღის ქალაქად გადაქცევა ხელი შეუწყო მისმა სტრატეგიულმა მნიშვნელობამ და მოხერხებულმა მდებარეობამ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოების დამაკავშირებელ გზაზე. სიღნაღზე ვადიოდა ძველი საქარავნო გზა.


ძველი ქალაქის მოსახლეობა განლაგებული ყოფილა საქარავნო გზის გასწვრივ. იგი ქმნიდა განაშენიანების ლერძს.

XX საუკუნის დასაწყისისათვის სიღნაღი წარმოადგენდა ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობის ცენტრს. ქალაქის მოსახლეობა ჩაბმული იყო ხელოსნობის 20-მდე სახეობაში და ეწეოდა მის რეალიზაციას. ბუნებრივია, რომ ქალაქის სავაჭრო ნაგებობანი და სახელოსნოები, აგრეთვე თვით ვაჭარ-ხელოსანთა საცხოვრებელი სახლები განლაგებული იყო ქალაქის ცენტრში გამავალი საქარავნო გზის ორივე მხარეს.

ამჟამად შემორჩენილია აღნიშნული სავაჭრო ცენტრის მეტად დამახასიათებელი უბნები: დღევანდელი ბარათაშვილის, სარაჯიშვილისა და კუიბიშვილის ქუჩების მონაკვეთების განაშენიანება ორსართულიანი ძველი საცხოვრებელი სახლებით, რომელთა პირველი სართული (არქიტექტურული ფორმებით თუ ვიზუალებით) დამოძილი ჰქონია სავაჭროებსა და სახელოსნოებს, ხოლო მეორე სართული საცხოვრებელს. დღეისათვის ამ ქუჩაზე შემორჩენილი საცხოვრებელი სახლები აგებულია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.

რთულმა რელიეფმა და ნაკვეთების უსწორმასწორო ფორმამ განაპირობა საცხოვრებელი სახლების არასწორკუთხოვანი მოხაზულობა გეგმაში და სადგომთა განაწილება სართულების მიხედვით. ადგილობრივმა საშენ მასალამ, კერძოდ, ხემ და აგურმა კი დააგვირგვინეს ეროვნული მოტივების ძიების პროცესი. თვალსაჩინოა ფასადების სისადავე, ლაკონიურობა და თავისუფლება ყოველგვარი ეკლექტიკისაგან.

სიღნაღის ისტორიული საცხოვრებელი სახლები მეტწილად ერთბანიანია, თითქმის ყველა მათგანი ორსართულიანია: ზედა სართულში საცხოვრებელი, ქვედაში სავაჭრო, სახელოსნო ან სამეურნეო დანიშნულების სადგომებით. საცხოვრებელი ოთახები აივნის ვასწვრივაა ანფილადურად განლაგებული. ორქანობიან სახურავში მოქცეული განიერი, სის სვეტებიანი აივანი სიღნაღის საცხოვრებელი სახლის განუყოფელი დამახასიათებელი ელემენტია. სახლის მთავარ ფასადს, როგორც წესი აივანიანი მხარე წარმოადგენს. შენობის პირველი სართულები მეტწილად ხორციელდება აგურისაგან შესრულებული თაღური კონსტრუქციებით, თუმცაღა გვხვდება სხვა კონსტრუქციული ხერხებიც: სვეტებისა და კოჭების სისტემა, სადაც სვეტები სწორკუთხოვანი ან მრგვალია.



სიღნაღი. კეიბიშვილის ქუჩის რესტავრაცია — ადაპტაციის პროექტი და მშენებლობის პროცესი.

სიღნაღი. Проект реставрации-адаптации ул. Куйбышева и процесс строительства.



ქართული
ენობრივი

ქართული ხეობის კუთხე
9450





კონსტრუქციული ტექტონიურობით, ფასადების მაღალმხატვრული გადაწყვეტით, რელიეფიან ორგანული შერწყმითა და ადგილობრივი სამშენებლო მახალების უნარიანი გამოყენებით ზემოთ მოყვანილი სახლები უდავოდ იმსახურებენ დიდ ყურადღებას.

ქ. სიღნაღის არქიტექტურულ-მხატვრული, თუ ისტორიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო ტრადიციული სახლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ქალაქის ციტადელი, ვალაჟანი კოშკებით, შიხი ღანდმაფტი და აგრეთვე ქალაქის განაშენიანება მთლიანად, როგორც რთულ რელიეფზე გაშენებული ქალაქის საუცხოო ნიმუში, ალაზნის ველის მიმართ თავისი მოხერხებული მდებარეობა ტურიზმის განვითარების კარგ, პოტენციურ შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს ისტორიის და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ადაპტაციის განყოფილებაში ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე, სათანადო შესწავლისა და აზომვის შემდეგ დამუშავდა სიღნაღში სარაჯიშვილისა და კუიბიშვილის ქუჩებზე მდებარე 12 სახლის კომპლექსური რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი. პროექტის ავტორები: ნ. გამსახურდია, დ. მჭედლიძე, ი. ნავლაძე, თანაავტორი დ. ინაკაჯაძე.

კერძოდ, ამ ქუჩებზე მდებარე სახლების პირველ რიგში რესტავრაცია-ადაპტაცია განაპირობა შემდეგმა ვარაუებამ: ამ ქუჩებზე გადიოდა საქარავნო გზა და წარმოადგენდა ქალაქის ცენტრს. ვარდა ამისა ამ ქუჩებზე შემორჩენილია მკვიდრო დასახლება, სადაც თავმოყრილია სიღნაღური სახლებისათვის დამახასიათებელი მრავალი ელემენტი: თითქმის ყველა სახლს აქვს არქიტექტურული და კონსტრუქციული თვალსაზრისით ძალზედ საინტერესო სარდაფები: მათი შემომხლედავი კედლები მდიდარია ნიშებითა და თახჩებით, რომლებიც მთავრდება ქართულ აგურში ამოყვანილი რკალური ან შეისრული თალებით. გვხვდება აგრეთვე გასანიავებელი სვრელები, რომლებიც ასევე შესრულებულია ქართულ აგურში და აქვს ძაბრისებური ფორმა, ეს უკანასკნელი

მთავრდება ნახევარსფერული გადახურვით, ხაიდანაც ხერხელით უკავშირდება კუბოს; შუა მზიდი კედლები შესრულებულია თაღური კონსტრუქციებით. დანამე სარდაფში ვხვდებით ჭების სისტემას, რომლებსაც იყენებდნენ როგორც სასმელად, ასევე სამკურნელო დანიშნულებისათვის.

ქუჩის პერიმეტრზე ყველა სახლის პირველი სართული გამოადის თაღებით, რომლებშიც შემორჩენილი იყო ვიტრინებისა და დარბაზების ფრაგმენტები. ამ სათავსებში განლაგებული ყოფიდა სახელოსნოები და საჯაროები.

მეორე სართულები, როგორც წესი აივნებითაა მორთული, სადაც ვხვდებით, როგორც ხის რიკულებს, ასევე მხატვრული ჭრის ფრაგმენტებს.

პროექტის მიხედვით ამ სახლებს გაუკეთდა რესტავრაცია. დაუბრუნდა პირვანდელი სახე აღსდგა ხის აივნები, ვიტრინები და დარბაზები. სარდაფებსა და პირველ სართულებს დაკბრუნდა დაკარგული ფუნქციები. კერძოდ მომავალში სარდაფებში მოეწყობა: რესტორანი, თონე, სალონი, ლეინის სარდაფი, სამწვადე, კაფე-ყავახანა. პირველ სართულებში განთავსდება: მაღაზიები: სახელოსნო-სალონი, ნაციონალურ ნაკეთობათა გამოფენა-ვაყიდვა, სუვენირების მაღაზია „სოლანი“. მეორე სართულებს დარჩა ძველი საცხოვრებელი ბინის ფუნქცია. გაიხსნა დამახინჯებული აივნები და ვაკეთდა ანალოგიებზე დაყრდნობით. გადაწყდა კუბიშვევის ქუჩის გაუქმება, როგორც ვამჭოლი სატრანსპორტო ქუჩისა, შემდეგი მოსაზრების გამო: 1976 წელს ხანძრის შედეგად დაიწვა კუბიშვევის ქ. № 1 სახლზე მინაშენი, (რომელიც ეტევიდა ამ ქუჩას) და პროკურატურის შენობა, რის შემდეგაც ჩიხი ვადაიქცა ვამჭოლ ქუჩად, რაც იწვევდა მრავალ უხერხულობას. ქუჩის სივიწროვის გამო, მძიმე სატვირთო ავტომობილების მოძრაობა იწვევდა ქუჩის გახწვრივ მდებარე სახლებში ვიბრაციულ რისკებს და ხშირ ავარიულ შემთხვევებს, რის შედეგადაც ზიანდებოდა ძველები. ამავე დროს ქუჩის დახრა ნორმას აღემატება. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე პროექტით აღდგენილ იქნა კუბიშვევის ქ. № 1 მინაშენი, რამაც ვამჭოლი ქუჩა ვადაიქცია ჩიხად და კუბიშვევის ქუჩამ დაიბრუნა პირვანდელი მყუდრო ხასიათი. მინაშენის პირველი სართულის ერთი ნაწილი გაიხსნა თაღით, რომლის საშუალებითაც ფენმავალი სკვერის ვავლით მოხვდება მოვდანზე.

ყოფილი პროკურატურის შენობის აღვილზე პროექტით ვათვალისწინებულია ახალი მოცულობის შენობის დადგმა, რომელიც არ დაარღვევს ვანაშენიანების მასშტაბს და ორგანულად ჩაეწერება ვარემოში. მშენებლობა მიმდინარეობს თანამედროვე მასალებითა და ხერხებით — ბეტონში და ხეში. შენობაში ვანთავსდება სახტუმრო.

ქ. სიღნაღში, კუბიშვევისა და სარაჯიშვილის ქუჩებზე მშენებლობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ვანკარგულებით დაევეალა შემდეგ ორგანიზაციებს:

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ინტორიის, კულტურისა და ბუნების ძველთა დაცვისა და ვამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს, ცეკავშირის წნორის მუხამე მოძრავ მექანიზებულ კოლონას, ცეკავშირის ტრესტ „საქკოლმშენის“ წნორის მექანიზებულ კოლონას, საქმთავარწყალმშენის ტრესტ „იორწყალმშენს“, საქ. სსრ საბინაო-კომუნალური მურნეობის სამინისტროს „საქკოლმურნმშენს“.

ქსნის საარისტოკრატო ლამისყანის კოვალეჰსი

1979 წელს, ძველთა დღეების მთავარი სამმართველოს და კასპის რაიონის დეპუტებით, სამმართველოს ადაპტაციის განყოფილებაში დაიწყო შესწავლა და შემდეგ კი დაამუშავა კასპის რაიონში სოფ. ლამისყანაში მდებარე „ორბელიანების ციხე-გალავნის და სასახლის“ რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი. პროექტზე მუშაობდნენ – პროექტის მთავარი არქიტექტორთ ანატოლი სოლომნიშვილი, პროექტის ავტორი ირინე შარაშენიძე, თანაავტორები თეიმურაზ ხუჭუა და ილია საბანაძე.

ნაშრომი წარმოადგენს ძველზე ჩატარებული კვლევითი და საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ერთგვარ ანგარიშს.

ქსნის ხეობა მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით. ხეობაში თავმოყრილია ძველთა ნაირსახეობა, დაწყებული წარმართული ხასიათის საღვთისმსახურო და დამთავრებული ქრისტიანული რწმენის უნიკალურ საკულტო ძეგლების, საცხოვრებელი თუ სტრატეგიული დანიშნულების ნაგებობების ჩათვლით.

„შიდა ქართლი“ ეთნიკურ-გეოგრაფიული სახელია საქართველოს ცენტრალური ნაწილისა, რომლის ბუნებრივი გარემო და მდებარეობა საქართველოს მრავალი კუთხისაკენ მდებარე ვახთა კუთხაში, პირველი ხელისშეწყობი ფაქტორები იყო უძველესი დროიდან საქართველოს ამ მხარის განვითარებისა და დაწინაურებისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა ძველთაგანვე გეოგრაფიულ დომინანტის – ხევების მიხედვით ხდებოდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთ ძლიერ კუთხეს წარმოადგენდა „ქსნის ხევი“.

XV საუკუნის ბოლოს საქართველო სამეფო სამთავროებად დაიყო, რასაც XVI საუკუნეში მოჰყვა ქართლის სამეფოს ოთხ სადროშიდ დაყოფა. მათგან, „შიდა ქართლი“ ერთ-ერთ მოწინავე სადროშოს წარმოადგენდა და მის სათავეში „ქსნის ხევის“ ძლიერი ფეოდალური საგვარეულოს წევრები – ქსნის ერისთავები იდგნენ.

ქსნის ხეობა ულამაზესია და მრავალფეროვანია ლანდშაფტითაც. მაღალი მწვერვალებიდან ხეობა თანდათან ბარს უერთდება.

ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგნაირად ახასიათებს მას: „...ამ კლდეს ქვეით, მტკვრამდე, ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი...“

ქსნის ხეობა მთად და ბარად იყოფა. ორივეგან ვხვდებით სოციალური დიფერენციაციის ნიშნებს, გადმოცემულს არქიტექტურულ აზროვნებაში.

ციხე-სიმაგრე, ციხე-გალავანი საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

საფორტიფიკაციო ნაგებობათა მრავალსაუკუნოვან მშენებლობის ევოლუციის საფეხურების გავლის გამო, ისტორიულ ნაგებობათა მრავალსახოვანება თავმოყრილი.

ციხე-სიმაგრის შესწავლის ანალიზი, მხოლოდ მისი არქიტექტურული განვითარების მომენტების დადგენის საშუალებას კი არ გვიძლევს, არამედ

მასთან ერთად თვალსაჩინოდ ჩანს საზოგადოებრივი განვითარების სოციალური მომენტებიც.

ფეოდალურ პერიოდში მუდმივად იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია სოციალური პირობები, იქმნებოდა ახალი ადმინისტრაციული ერთეულები და ამასთან ერთად ქართლის მოსახლეობა, ისევე როგორც საქართველოს მრავალი მხარე, მუდმივად იცავდა თავს ურიცხვი გარეშე და ასევე არანაკლებ მრავალრიცხოვანი შიდა მტრებისაგან.

სიცოცხლის და ერის შენარჩუნება, აუცილებელ პირობად თავდაცვას მოითხოვდა.

XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე ფეოდალთა შორის გახშირდა ქიშკი. ციხე-სიმაგრეს აფარებდა თავს, ქიზნებოდა ფეოდალის საკუთრება – ადგილობრივი მოსახლეობა. სიმაგრის ასეთ ტიპს „სახიზარს უწოდებდნენ“.

სწორედ „სახიზარ“ სიმაგრეთა რიცხვს განეკუთვნება ქსნის ხეობაში მდებარე „ლამისყანის კომპლექსი“ ანუ „ორმელიანთა ციხე-სიმაგრე“.

კომპლექსი ქალაქ თბილისიდან 66 კმ-ის დაშორებით მდებარეობს კასპის რაიონში, სოფელ ივრეთიდან აღმოსავლეთით 7 კილომეტრის მანძილზე, სოფელ ლამისყანის შუაგულში.

ხეობის მხრიდან იგი ძნელად მისადგომ, საკმაოდ დახრილ ფერდობებთან სიმაგრედ იქცევა. კომპლექსში დაცულია თავდაცვის ყველა ძირითადი პირობა და მათ შორის მთავარი – სტრატეგიულად გამართლებული ადგილის არჩევა.

„ლამისყანის კომპლექსის“ სამშენებლო ტერიტორიად არჩეულია ქსნის ხეობის ბარში მდინარის შუა, ვანიერ წელში მარჯვნივ მდებარე ბორცვი. აქედან შესანიშნავად მოჩანს ხეობაზე აკონძული ახლომდებარე სოფლები სამხრეთ-აღმოსავლეთით. მთის თავზე -- ძველი ილტობა; ქვევით – ჭოვრისი, ოძისი და სხვა; ჩრდილო-აღმოსავლეთით კი მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირზე მდებარე ქალაქი ლენინგორი (ძველი ახალგორი). მას ვახუშტი ბავრატეონი მოიხსენიებს XVII-XVIII სს. მანძილზე მშენებარე მცირე სავაჭრო ქალაქად და მაშინდელ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ძლიერ ცენტრად ქსნის ხეობაზე. ახალგორი ქსნის ერისთავთა რეზიდენცია იყო.

კომპლექსიდან სამხრეთის მიმართულებით იკითხება ქსნის ციხის სილუეტო.

დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით კომპლექსი გარშემორტყმულია პატარა ზევითა და სოფლის მიწებით.

ყველა ჩამოთვლილ პუნქტში გათვალისწინებული იყო საყარაულო, სასიგნალო ან ცალკე მდგომი თავდაცვითი ნაგებობანი.

ამგვარად, სტრატეგიული თვალსაზრისით, საფრთხის შემთხვევაში, ცენტრის ტელეგრაფის სასიგნალო სისტემა საკმაოდ დიდ მანძილზე მოქმედებდა, მთელი ქსნის ხეობის ჩათვლით.

„ლამისყანის კომპლექსში“ თავმოყრილია საფორტიფიკაციო, სასულიერო და საერო არქიტექტურის გვიანფეოდალური პერიოდის ძეგლები.

კომპლექსი შედგება გალავნის კედლების და მათ კვეთაში მოქცეული



ლამიტანის კომპლექსი. გვიანი შინა-
ური სასახლის ჩრდ. ფასადზე.

Комплексе Ламискава. Поздняя
пристройка с сев. стороны.

ლამიტანის კომპლექსი. სპ. ა. დას.
ზედი რესტავრაციამდე.

Комплексе Ламискава. Вид с юго-
запада до реставрации.





ლაშქვანის კომპლექსი. ზედი ჩრდ.
დასავლეთიდან რესტავრაციაშდე.

Комплекс Ламискана. Вид с северо-запада до реставрации.

ლაშქვანის სასახლე. ჩრდ. ფასადი
რესტავრაციაშდე.

Дворец Ламискана. Сев. фасад до реставрации.





ოთხი მრგვალი კომისიის, გალაგნის გარეთ მდებარე ღვთისმშობლის სახელობის კარის ეკლესიის, მარნის, თავლის, წისქვილის, დამხმარე ქვეყნებში და გალაგნის სამხრეთის კედელზე გარედან მიშენებული სასახლის — ნაგებობა.

ციხეს ასახიათებს გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობათა ნიშნები:

1. მდებარეობა ვაკე ადგილას და არა მიუვალ კლდეზე, როგორც ადრეულ პერიოდში;
2. ოთხკუთხა გალაგნის ჩაკეტვა ოთხი მრგვალი კომისიის;
3. დეცლხასხროლი ღიობების დახვეწა-განვითარება;
4. ერთი ძლიერად დაცული, განიერი შესასვლელის — კარიბჭის არსებობა;
5. მაშკულეების ნიკარტისებური ფორმა;

ძველმა ჩვენამდე მრავალი მიზეზის გამო ძლიერ შეცვლილი და დაზიანებული სახით მოაღწია.

ციხე-გალაგნის მშენებლობისას, არმეულ სტრატეგიულად გამართულ ტერიტორიაზე სურთომოდღვარმა რაციონალურად განათავსა იგი. არსებითად, ციხეს ქსნის ზევი იცავდა სამხრეთის და აღმოსავლეთის მხრიდან და მშენებელმა ციხე-სიმაგრის გალაგანი სწორედ ამ მიმართულებით, ჩრდილო-სამხრეთის ღერძით გააგრძელა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ძირითადი გადაკეთება, რომელსაც დაექვემდებარა გალაგნის ტერიტორია, რაც ამჟამად მის პროფილს გალაგნის ეზოს მხრიდან საგრძნობლად ცვლის არსებულთან შედარებით. სასახლის მშენებლობისას, მოგვიანებით, შიდა ეზოს რელიეფი გადასწორებულ იქნა.

ამას ასაბუთებს სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის კომპლექსების ძირის დონის დადგენა, ამ კომპლექსში ქვეთა მიწისპირა შესასვლელი კარების ამოქოლვა და ტერიტორიიდან ნალექების გადასაყვანი ზვრელის პოვნა (სამხრეთ აღმოსავლეთის კომპლექსთან შურფების კეთებისას). წყალგამყვანი ზვრელი ამჟამინდელი მიწის დონიდან 2,5 მეტრით ქვევით იმყოფება.

ტერიტორიის მიწით ამოვსებაზევე შეტყვევებს ჩვენს მიერ ძველის შესწავლისას გალაგნის სამხრეთ კედელში (ეზოს მხრიდან) არსებული ამოქოლილი საბრძოლო ღიობების გახსნა. არსებული მიწის დონიდან ამ ღიობების მცირე სიმაღლეზე განლაგება საბრძოლო თვალსაზრისით არასწორია, ხოლო მათი განხილვასაც მიწის ძველი დონის ვათვალისწინებით, ისინი ემთხვევიან საბრძოლო ბილიცის სიმაღლეს, რაც ამ კომპლექსის საბრძოლო სისტემის ხაერთო გადაწყვეტას ახასიათებს.

„ლამისყანის კომპლექსის“ შესასვლელი ჩრდილოეთიდან ქეონდა ჩრდილოეთის კედელთან არსებულ მოცულობებს — კარის ეკლესიის და მარნის ნაგებობებს შორის. სოფელი მას ჩრდილოეთის მხრიდან ერთვის. აქვე ერთადერთი გზა სოფლისა და შემდეგ დასავლეთ საპარავლო საკენ.

როგორც აღვნიშნეთ ძველმა მრავალი გადაკეთება და სწორევა განიცა-

და გადაკეთების და მშენებლობის ქრონოლოგიური ფენები ადვილად ირჩევა: გალაენის დასავლეთის და აღმოსავლეთის კედლებმა მცირე ფრაგმენტები შემოინახა სათოფურების ტიპებით. ჩრდილოეთის კედლიდან საბედნიეროდ ნახვარი შემორჩა. სამხრეთის კედელს კი მოგვიანებით, უხიფათო პერიოდში, ლეკიანობის შეწყვეტის შემდეგ – სასახლე მიაშენეს, რის გამოც გალაენის სამხრეთი კედლის ნაწილი სახემეცვლილი მოვიდა ჩვენამდე.

კომპლექსის ოთხი მრგვალი კოშკიდან, ორი შუაწელამდე შემორჩა (სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის). სასახლის მშენებლობისას მის მრგვალ კედლებს ზევიდან ოთხკუთხა ოთახები დაამუხეს. ასევე დაზიანებულია დანარჩენი ორი კოშკიც (ჩრდილო-აღმოსავლეთის და ჩრდილო დასავლეთის). არც ერთ კოშკს შერჩენილი არ ჰქონდა ხართულშუა და სასხვენიო გადახურვები.

ბედნიერი შემთხვევითობით ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკმა შემოგვიინახა სამი ქონგური.

ლეთისმშობლის სახელობის კარის ეკლესიაც, რომელიც გალაენის გარეუღვას და მეტყველებს მისი აშენების გვიან თარიღზე (XVIII ს.), საკმაოდ სახემეცვლილია. მოგვიანებით იგი შეაკეთეს, შემდეგ კი მის აბსიდში კარი გაჭრეს.

ასევე დაზიანებული სახითაა მოღწეული მარანი და სხვა დამხმარე ხაგებობანი. ისინი სასახლის თანადროულნი არიან.

თვით სასახლე, XIX საუკუნის ოთხკუთხა, ორსართულიანი ნაგებობაა. მისი მშენებლობისას ხუროთმოძღვარმა გონივრულად გამოიყენა არსებული გალაენის სამხრეთი კედელი მთელი სიგრძით.

სამშენებლო მასალად კომპლექსში გამოყენებულია რიყის ქვა და მცირე რაოდენობით ქართული აგური.


სასახლეს ოთხივე მხარეს ეტყობოდა აივნების კვალი – ძელების და მათი ბუდეების სახით.

სასახლე საკმაოდ დიდი გაბარიტების ნაგებობაა.

თვით სასახლემაც რამოდენიმეჯერ განიცადა გადაკეთება: ჩრდილოეთის ფსადზე ეზოს მხრიდან და შემდეგ კი სამხრეთის ფსადზე მოგვიანებით, მიშენებულ იქნა საკმაოდ ეკლექტიკური ხასიათის, ასე ვთქვათ, პარადული შესასვლელი. ორივე მინაშენი დანგრეული დაგვხვდა; რის მიზეზადაც ნაწილობრივ მათი არაფუნქციონალური დაგვემარება მიგვაჩნია.

შენობა თბებოდა ბუხრების და კედლის ლუმელების საშუალებით. ინტერიერები ნატურაში განადგურებულია.

ციხე-სიმაგრის დაბლობ, ყველა მხრიდან გახსნილ ადგილას მდებარეობის გამო, გალაენის ოთხივე კედელი ერთნაირ დატვირთვას იღებდა მტრისაგან დაცვის თვალსაზრისით ამიტომ აქ გამოყენებული საბრძოლო ღიობები თითქმის ერთნაირი ტიპისაა, ერთი სისტემითაა გადაწყვეტილი: – მიწისპირა ღონეს იყავდა ქვედა დახრილი სათოფურების რიგი. მომდევნო ზედა იარუსში სათოფურების ორი ტიპი გამოიყენა მებრძოლმა – ხუროთმოძღვარმა: ცალმაგი, ქვევით დახრილი და წყვილი სათოფურები – პორიზონტალური ხედვის არით. სათოფურებს შორის ინტერვალის თითქმის ერთნაირია.



ლაშქვანის კომპლექსი. გენგემა.

Комплекс Ламискава. Геняла.

გალავნის შემორჩენილი კედლების პროფილი შიდა მხრიდან ევრტიკულურია, ხოლო გარედან ვიწროდება ქვევიდან ზევით.

მთელს გალავანს შიდა მხრიდან საბრძოლო ბილიკი დაუყვებოდა. მასთან კავშირი ეზოდან ხის მისადგომი კიბით ხორციელდებოდა.


გალავნის კედლები და კოშკები ნაგებია რიჯის ქვით. ქართული აგური აქ მხოლოდ კოშკებში, და ისიც მცირე რაოდენობითაა, გამოყენებული ძირითადად კარ-ფანჯრის ღიობებისა და მაშკულებისათვის.

XIX საუკუნეში, მას შემდეგ რაც სიმეგრემ დაკარგა თავისი ფუნქციონალური მნიშვნელობა, თითქმის ყველა სათოფური გალავანსა და კოშკებში ამოშენებულ იქნა.

ორი კოშკი, ჩრდილო-აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის, ორსართულიანია საბრძოლო სართულის ჩაუთვლელად, ხოლო დანარჩენი ორიდან, როგორც აღვნიშნეთ შერჩენილია მხოლოდ ქვედა ნახევრები (ორ-ორი სართული). კოშკებში მოხვედრა შეიძლება მიწისპირა სართულიდან ეზოს მხრიდან. კოშკებს მეორე შესასვლელიც აქვს, იგივე შიდა ეზოს მხრიდან იგი საბრძოლო ბილიკზე გამოდიოდა.

სართულშუა გადახურვები ხისა იყო; ბოლო საბრძოლო სართულს კი ტერასის კვალი ეტყობა. კავშირი სართულებს შორის ლუკების და მათზე მიდგმული ხის კიბის საშუალებით ხორციელდებოდა.

შედარებით უკეთაა შემორჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთი კოშკის საბრძოლო სართული ღიობებით, ქინგურებით და ჩრდილო-დასავლეთი კოშკის საბრძოლო სართულის ნაწილი.



ლამისკანის სასახლე. I და II სართულის გეგმა რესტავრაციის შემდეგ.

Дворец Ламискана. План I и II этажа после реставрации.

კომპლექსს პირველ სართულებში ფანჯრის ღიობები არა აქვს.

აქ მხოლოდ სათოფურებია განლაგებული რადიანალურად. სათოფურების რაოდენობა სართულების მიხედვით მატულობს. განსაკუთრებით იზრდება მათი რიცხვი ზედა სართულში, სადაც გალავნის კედელი უკვე ქვევით რჩება და იძლევა მათი განლაგების საშუალებას კომპლექსის მთელი წრიული პერიმეტრის გარშემო.

ბოლო საბრძოლო სართულში კომპლექსს ერთნაირად ოთხი ნისკარტისებური მაშინკული კქონდა. აქედან სამი მაშინკული გარეთა არეს იცავდა, ხოლო ერთი კი კომპლექსში შესასვლელ კარებს. ადგილზე ნაპოვნია მაშინკულების დამჭერი რკალისებური ფორმის მუხის ქელები და მათ ბუდეებთან ქართული აგურის ნაწილები, მაშინკულებს აქეთ-იქით სათოფურები ახლდა.

როგორც აღვნიშნეთ ძველს ჩვენ პირველად 1979 წლის ზაფხულში ვეს-



ტუმრეთ. აზომებითი სამუშაოების შედეგად მიღებული კომპლექსი საერთო სურათი არადაამაკმაყოფილებლად ლიგვანისა ძველის სრული მანძილად ნად.

სხვადასხვა არქივების ფონდების გადახინჯვა ჩვენთვის თითქმის უშედეგო აღმოჩნდა.

ძიების შემდეგ ნანატრი მასალა მიგნებულ იქნა აწ გარდაცვლილი პატივემულ ნათელა ივანეს ასულ ჯავახიშვილის მეშვეობით. ძირითადად ეს იყო ფოტოსურათები, სასახლის ჩანახატი — შესრულებული უცნობი მხატვრის მიერ ფანქრით, ლიტერატურული წყაროები, მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის შეკრები, სოფლის უხუცეს მკვიდრთა და ნათელა ჯავახიშვილის მიერ ძველის სიტყვიერი აღწერა, სხვა ძეგლების ანალოგიური ანალიზი.

აი ის რაც საუფქვლად დაედო, ლამისყანის კომპლექსის „რესტავრაცია ადაპტაციის პროექტი“.

ძველზე ჩატარებულ წინასწარ კვლევით სამუშაოთა რიცხვს განეკუთვნება ჩვენი სამმართველოს არქეოლოგიის განყოფილების მიერ გალავნის შიდა ტერიტორიის დაზვერვითი სამუშაოები, რის შედეგადაც მიწიდან ამოღებულ იქნა შავი კერამიკის ფიგურული და სადა ნატეხები დაზიანებული სახით.

გალავნის კედლების ხატირკვლების სამშენებლო გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებისას 2 მეტრის სიღრმეზე ნაპოვნია კერამიკული ნატეხები გეომეტრიული ორნამენტით, რომელთაგან აქნყო ერთი მთლიანი ჭურჭელი და მეორე ჭურჭლის ნაწილი.

წინასწარი დასკვნებით, მოძებნილი მასალა გვიანი ბრინჯაოს პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს. ეს შედეგები უფლებას იძლევა, რომ გალავნის შიდა ტერიტორიის განსაზღვრული ნაწილი შემდეგში შესწავლილ იქნეს არქეოლოგიური თვალსაზრისით.

სადღესოდ მთავრდება „ლამისყანის კომპლექსის“ სარესტავრაციო-სამშენებლო სამუშაოები, რომელთაც აწარმოებს ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს საწარმოო — სამშენებლო გაერთიანება.

აღდგენილია კომპლექსის გალავანი მთლიანად, რომლის კედლების დიდი ნაწილი ამოყვანილ იქნა თითქმის სანახევროდ ახლიდან, აღდგა თაღოვანი კარიბჭე, მთავრდება კოშკებისა და ეკლესიის რესტავრაცია, ჩატარდა რიგი გამაგრებითი და საკონსერვაციო სამუშაოები.

აღდგენილია სასახლე. ადგილზე არსებული აივნის ძელების მდებარეობის კვლის, ფოტოსურათებზე და ჩანახატზე შემონახული, ამ პერიოდის ნაგებობათათვის სასახლითო აივნების სახის მიხედვით აღდგა სასახლის ოთხივე აივანი. სამ მათგანს, სვეტებს შორის, სამფურცელა მორთულობები ახლავს.

აღდგინდა და ჩაისვა ორივე სართულის კარ-ფანჯარა. არსებული, სასახლის დაზიანებული თუნუქის სახურავი შეიცვალა კრანით, ჩატარდა რიგი სხვა სამუშაოები. მალე აღდგენილი კომპლექსი ჩაბარდება ახალ მფლობელს, კასპის რაიონს.

როდესაც სრულდება რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი, პროექტანტთა ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს არა მარტო ძეგლის აღდგენა პირვანდელი სახით, არამედ მისი მომავალი სიცოცხლის, პულსაციის შენარჩუნება.

ამის მიღწევა ხორციელდება ძეგლში ახალი სასიცოცხლო ფუნქციის შეტანის გზით.

ამ თვალსაზრისით ჩვენ ზირველ რიგში გავამახვილეთ ყურადღება სოფლისათვის საჭირო აქტუალურ საკითხებზე.

აღდგენილი სასახლის პირველ სართულში განთავსდება სოფლის კულტურული ცენტრი – ბიბლიოთეკა და საგამოფენო დარბაზი ცვალებადი საინფორმაციო ექსპოზიციებისათვის. მოსახლეობას ექნება საშუალება ადევნოს თვალყური ყოველივე ახალს და ხაინტერესოს საქართველოს მასშტაბით. მეორე სართული დაეთმობა ეთნოგრაფიულად აღდგენილ XIX საუკუნის ქართლის სასახლეს.

იმისათვის, რამ დაერწმუნებულებიყავით აღდგენილი სასახლის მეორე სართულში ამგვარი ფუნქციის შეტანის სისწორეში, საჭირო შეიქმნა რიგი რთული და ხანგრძლივი სამუშაოების ჩატარება.

1. სასახლის შინაგანი სახის ინტერიერების სრული სურათის მიღება,
2. მასში მცხოვრებ პირთა და მათ წინაპართა ვინაობის გარკვევა.
3. ინტერიერების აღდგენისათვის საჭირო ნივთების, ინვენტარის მოძიება რეალურად.


ვლევის შედეგად, საარქივო მასალების და აღწერილობების მიხედვით დადგინდა სასახლის ოთახების განლაგების სქემა და შიდა სივრცეების მოწყობის მხატვრული გადაწყვეტის სახე.

თვით სოფელში მოძიებულ იქნა სასახლის საგვარეულო ავეჯის ნაწილი. ცნობილია ახლა აქ არარსებული დანარჩენი ავეჯის სახე და შემადგენლობა, აგრეთვე სასახლიდან გატანილი ავეჯის კოორდინატები.

ნათელა ჯავახიშვილის ოჯახში ინახება ფაიფურის პატარა სარძევე, რომელიც მისმა ნათლიამ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა უსახსოვრა. სარძევეს ისევე როგორც მთელს სერვიზს, რომელიც დამზადებული იყო საზღვარგარეთ საეცილური შეკვეთით აქვს ორნამენტული ნახატი შესრულებული შავი, წითელი და ოქროსფერი ხალებავებით. ნახატის შუა ნაწილში – ოქროს გვირგვინის გამოსახულებაა, ხოლო მის ქვეშ კი ინიციალები – ალექსანდრე, მარიამ, ორბელიანები. მთლიანი სერვიზი გათვალისწინებული იყო ორმოც პერსონზე. შედგებოდა სამი გარნიტურისაგან. – სადილის, ხაის და ყავის. სამივე უხმარი გარნიტური მოთავსებული იყო ხის მასიურ სკერში.


დღეისათვის მთელი სერვიზი დაკარგულია და მიმდინარეობს ძებნა მასზე არსებული მონაცემების მიხედვით.

სასახლეში ექსპონირებულ იქნება ჩვენს მიერ მოძიებული და შეკრებილი ისტორიული მასალა: დოკუმენტები, შრომები, წიგნები და სხვა.



წმინდათა სამების ჩხვირის ფასადი.
(ჩუბინაძის პროექტი).

ღვთისმშობლისა და სამების წმინდათა
(Испокит рестаурацია).



Дворец Ламискана. Юж. фасад.
 (Проект реставрации).

ღამბუჯანის სასახლე, სამხრ. ფასადი.
 (რესტავრაციის პროექტი).



შეძლებისდაგვარად აღდგება ის საგვარეულო ბიბლიოთეკა, რომელიც თავის დროზე დიდი შენაძენი შემატა საქართველოს.

აი რას წერს ზემოთქმულის შესახებ ივანე ჯავახიშვილი:

„როდესაც ქც-ის შედგენისა და შეკვების საკითხი მმ და ფლ ქც სდა მიხედვით გამორკვეული მქონდა და ქართველი ერის ისტორიის“¹ წიგნის გადაკეთებულს და შევებულს ნაწილს ვწერდი, 1913 წ. სოფ ლამისყანაში ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის სახლში, ძველ საგვარეულო წიგნსაცავის გადსინჯვის დროს, სრულებით მოულოდნელად ქ ცის მეორე და ამასთანავე უძველესი შესანიშნავი ხელთნაწერი აღმოვაჩინე“.

ამ ჩანაწერის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, თუ რა დონის მკვიდრნი ცხოვრობდნენ აქ, სოფელ ლამისყანის ამ სასახლეში.

არანაკლებ საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ ვის ეკუთვნოდა „ლამისყანის კომპლექსი“; ვინ იყო მისი ბოლო მფლობელი და რა გზა გაიარა კომპლექსმა ვიდრე ჩვენამდე მოვიდა „ორბელიანთა ციხე-გალავნის“ სახელით.

როგორც აღვნიშნეთ, „ლამისყანის კომპლექსი“ მდებარეობს ქართლში, მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს. ეს ადგილები კი ქსნის ერისთავთა სამფლობელო იყო.

აი რას წერს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გვრიტიშვილი:

„რადგან საერისთავოს (იგულისხმება ქსნის საერისთავო) რეზიდენცია ახალგორში იყო მმართველობის ძირითადი აპარატიურთ, ერისთავიც აქ ცხოვრობდა. ერისთავის შვილებს კი საკუთარი საუფლისწულოები მქონდათ მიცემული და ამ საუფლისწულოებში საუცხოოდ აგებულ სასახლეებში ცხოვრობდნენ. ერისთავის შვილები ცხოვრობდნენ – იყოთში, კორინთაში, ოძისში, ლამისყანაში, კარაღეთში, ტყვიავში, მერეთში, იკორთაში, მეჯვრისხევში, კოშკაში, დიხეში, ბელოთში. ერისთავებს მქონდათ სასახლეები, აგრეთვე თბილისა და გორში“³

სოფელ ლამისყანაში მართლაც არსებობს ერთი მოზრდილი სახლი „ერისთავის სასახლედ“ წოდებული, რომელიც ზევით მოტანილი აღწერილობის თანახმად ვერ ედრება სასახლედ წოდებულ ნაგებობას.

საუფლისწულოებისათვის საკადრის სასახლეს და ციხე-გალავანს ს. ლამისყანის ის კომპლექსი უფრო გაეს, რასაც ჩვენ ვესებით. გარდა ამისა ცნობილია, რომ ორბელიანთა ძლიერი გვარის არსებობა ამ მხარეში ლამისყანის მავალითით შთავრდება.

მამ რატომ მქვია ამ კომპლექსს „ორბელიანთა სასახლე ციხე-გალავნი?“ და ვინ არიან ორბელიანები, ვისი გვარიც ახე ძლიერადაა შეთვისებული ლამისყანის ძველი და ახალი მოსახლეობის მიერ.

ამ საკითხის გარკვევაში მოგვეხმარება ორბელიანთა გენეოლოგიის და მათი ცხოვრების ამსახველი წყაროების გაცნობა.

აღნიშნული კომპლექსის ბოლო მფლობელნი არიან მეუღლეები ალექსანდრე ორბელიანი და მარიამ ჯამბაკურ ორბელიანი.

ალექსანდრე ორბელიანის დედა ვახლდათ ნინო თორნიკეს ასული ერისთავი. ლამისყანის ეს კომპლექსი ნინო ერისთავის მშითვეია. იგი ცოლად მიჰყვება ორბელიანს და ცხოვრობენ აქ ლამისყანაში. მათ აქვთ მამულები: ლამისყანაში, ყაბარდოში და ატენში.



მომავალში — თავის რძალს მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს ნინო ერისთავის
ვი არუქებს ლამისყანის მამულებს.

ალექსანდრე და მარიამ ორბელიანები, უმემკვიდრო მეუღლეები, სოფელს
მფარველებად ევლინებიან, რის გამოც მოსახლეობამ შეიყვარა თავიანთი ბა-
ტონები და მათ სამყოფელს „ორბელიანთა სასახლედ“ იხსენიებენ.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ვისი სახელითაც ამჟამად საქართველო და
სოფელი ლამისყანა, განუღმად ერთადერთი ასული XIX საუკუნის გამოჩენი-
ლი პოეტის ვახტანგ ჯამბაკურ-ორბელიანისა და შვილიშვილი სახელოვანი
ქართველი მეფის ერეკლე II-ის ასულის თეკლა ბატონიშვილისა.

იგი დაიბადა 1852 წლის 11 ივლისს.

სახელოვანი წინაპრებისაგან დაჰყვა ამ ადამიანს შესანიშნავი თვისებები.
მან მიზნად დაისახა საყვარელი ქვეყნისათვის სულით მდიდრობა და სიკეთის
ფრქვევა. თავისი სიცოცხლე იმ დროის საქართველოსათვის პროგრესულ
იდეებს და მათ განხორციელებას შესწირა.

1872 წლის 12 თებერვადს, იგი უკავშირებს თავის ცხოვრებას სამხედრო
პირს, მეფის ნაცვლის ადიუტანტს ალექსანდრე ორბელიანს.

დიდია ამაგი, რომელიც გასწია მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანმა საქართვე-
ლოსათვის. აი ფაქტებიც: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი
საზოგადოების ერთ-ერთი საპატიო წევრი, სახალხო სკოლების, სამკითხველო-
ების გახსნის, წიგნების გამოცემის აქტიური მონაწილე, ვაჟთა სათავადაზნა-
ურო ქართული სკოლის კომიტეტის წევრი, 1882 წლიდან მასწავლებელ ქალ-
თა საზოგადოების აქტიური მონაწილე, საქველმოქმედო საზოგადოებების და-
მარსებელი, ქართულ ვიმნაზიასთან ქალთა ქართული კრების დამარსებე-
ლი, ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის აქტიური მო-
ნაწილე (ფიზიკურად და მატერიალურად), მარჯვენა ხელი ივანე ჯავახიშვი-
ლისა, 1918 წელს ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში შექმნილი და-
მხმარე საზოგადოების წევრი და სხვა.

აღსანიშნავია მ. ჯამბაკურ-ორბელიანის მოღვაწეობა, როგორც მთარგმ-
ნელისა — მრავალი ენის მცოდნე სპეციალისტისა, მან მთარგმნა: პიუგოს „ან-
ჯლო“ — „მარიამ ტიულორი“, შექსპირის „ვინძოლის ცელქი ქალიშვილები“
ეს უკანასკნელი ნაშრომი 1924 წელს კოტე მარჯანიშვილმა დადგა ქართულ
სცენაზე.

აი, ის არასრული ჩამოთვლა მის მიერ პრაქტიკულად განხორციელებუ-
ლი კეთილშობილური იდეებისა, რასაც მან დაუთმო თავისი სიცოცხლე.

არანაკლები ღვაწლი მიუძღვის მას და მის მეუღლეს სოფელ ლამისყანის
ცხოვრების კალაპოტის წარმართვის საქმეში.

მარიამმა ლამისყანაში მთავრობასთან შეუთანხმებლად მოაწყო მახ-
ლობელი გლეხობისა და თავის მოსამსახურეთა შვილებისათვის დაწყებითი
სკოლა, რომლის ერთადერთი მასწავლებელი თვითვე იყო. ამას სკოლის ოფი-
ციალური გახსნა მოჰყვა. მისივე თხოვნით გაიყვანეს წყალი და მოა-
წესრიგა ჭურნალ-ვაზეთებისა და საფოსტო ბარათების მიმოსვლის საკით-
ხი სოფელში. ძალიან ბევრი ობოლისა ოუ ახლად დაქორწინებულის მადლი
მოიხსნა მათთვის ეკონომიური და მორალური დახმარების გაწევით, რასაც
დღესაც მადლიერებით იხსენებენ სოფლის უზუცესნი.



როგორც ყველა ფეოდალს, ორბელიანებსაც თავისი ციხე-სიმაგრის გარშემო ქვინდათ სახნავ-სათესი მამულები, რომლის მოსახლეობაც ყველანაირად საკუთრებას წარმოადგენდა.

ლამისყანაში ყოფნისას, საშა ორბელიანმა აპყარა სასახლის წინ დარბაზულ სახლებში მცხოვრები გლეხი მოსახლეობა და თავის საუკეთესო სახნავ-სათეს მიწებში ჩაასახლა. განთავისუფლებული ტერიტორია შეაერთა და შემოაქვდა ზღუდე, ზღუდის კვალი დღესაც იკითხება. ამგვარად გაჩნდა ქსნის წყლის იქით, სოფლის ახალი ნაწილი, რამაც ხელი შეუწყო მომავალში სოფლის ზრდას ამ მიმართულებით.

ასეთია მოკლედ ცნობები ლამისყანის ციხე-გალავნიანი, ამჟამად „ორბელიანთა სასახლედ“ წოდებული „ერისთავების სასახლის“ და მის მკვიდრთა შესახებ.

შემდეგი დიდი ფიგურა ვისი სახელითაც ამჟამად სოფელი ლამისყანა გასლავთ საქართველოს გამოჩენილი შვილი, პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც ზედაველაზე 1724 წელს კახელებსა და ოსმალოს შორის გამართულ ომში დამარცხების შემდეგ ქსნის ხეობის სოფელ ლამისყანაში ჩასახლებულა. ძლიერი ლეკიანობისას სწორედ აქედან, ლამისყანიდან მოიტაცეს დავით გურამიშვილი, რომლის მიერ შექმნილ „დავითიანს“ – ქართული ისტორიის დიდი მკვლევარი კორნელი კეკელიძე – „ქართლის ჭირს“ უწოდებს და ისტორიკოსთა უმრავლესობა სამატრიანო მნიშვნელობის ღირებულების მქონე ნაწარმოებად აღიარებს.

საბოლოოდ აღდგენილ სასახლეში ზევით თქმულ და აღწერილ სათავსთა გარდა ერთ-ერთ ოთახში გათვალისწინებულია დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი ექსპოზიციის მოწყობა.

ისტორიულად სოფელი ლამისყანა და სოფელი ოკამის მიდამოები, დაკავშირებულია აგრეთვე ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის სახელთანაც. სწორედ ამ სოფლებს აფარებს თავს ეპიზნება მტერთაგან დევნილი მეფე. ქსნის ხეობაშივე შანშე ქსნის ერისთავთან აფარებს თავს, მოგვიანებით ასევე მტერთაგან ლტოლვილი კახთა მეფე კონსტანტინე და მისი ამაღლა. საიდანაც ისინი უშავში გახიზნულან¹.

ასეთია მოკლედ მიმოხილვა, ქსნის ხეობაში მდებარე სოფელ ლამისყანის, ძველის ისტორიის, მასზე ჩატარებული კვლევითი, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესახებ.

ძველთა დაცვის მთავარი სამშროტველოს ადაპტაციის განყოფილების ავტორთა კოლექტივი უდიდეს მადლობას უხდის ყველას, ვინც მხარში ამოვიდგა მოხსენებული კვლევიით და პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებაში.

1. ნ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხეები და ქალაქები. თბილისი, მეცნიერება, 1973.
2. ივ. ჯავახიშვილი „ოხხულებანი, თორმეტ ტომად. ტომი VIII. თბილისი 1977, გვ. 362 ს.კ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, „ქართლის ეხოვრება“.
3. დ. გვრიტიშვილი, ქსნის ერისთავთა სასახლე, „ძველის მეგობარი“, № 4, გვ. 8.
4. ელგუჯა შარაძე, ვოდება. ნაკადული, თბილისი, 1974, გვ. 87.



ვანაძიანის „ყველაწმინდას“ გუმბათოვანი ტაძრის რესტავრაციის შესახებ

წინამდებარე წერილი ეხება ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ძეგლის ვანაძიანის „ყველაწმინდას“ გუმბათოვანი ეკლესიის რესტავრაციის საკითხებს.

ძეგლის სირთულემ, რამაც განაპირობა მისი ღრმა, ძირფესვიანი გამოკვლევა, მისი რესტავრაციის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ჩვენს მიერ მიკვლეული მასალის შესწავლამ წამოჭრა რამდენადმე განსხვავებული აზრი უკვე არსებულ კონცეფციებთან შედარებით.

სოფ. ვანაძიანის (ამჟამად სოფ. შრომა, გურჯაანის რ-ნი) სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სოფლის დასავლეთით მთებში, მისგან 8-9 კმ-ის მანძილზე. ხუროთმოძღვრული კომპლექსი გაშენებულია ტყიანი ფერდობის ხელოვნურად მოვავებული, რამდენიმე ფართო ბაქანზე, რომელთაც დასავლეთიდან ციცაბო ფერდობი ემიჯნება.

ამჟამად კომპლექსის შემადგენელი ნაგებობებიდან არსებითი დანაწარგების გარეშე, შემორჩენილია მხოლოდ მონასტრის მთავარი ნაგებობა — „უკელ-პალეს“ ტიპის VIII-IX სს. „ყველაწმინდას“ გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება.

ტაძრის მთავარ სივრცეს მაღალი, წაგრძელებული ნავი წარმოადგენს, რომლის შუა ნაწილში გრძივი კედლების შვერილებზე, აფრების საშუალებით გუმბათია აღმართული.

შენობის კედლები აგებულია წესიერად ნაწყობი რიყის ქვის პორიზონტალური რიგებით. აგურით შესრულებულია გუმბათოვანი კამარა თავისი ყელით, ზოგიერთი ღიობის წირთხლები, თალები, ტრომპები და სხვ; ხოლო შირიმი, უმთავრესად გამოყენებულია შენობის კუთხეებში, ლავგარდანისა და კარ-სარკმლების წყობაში. შირიმითღა ნაწყობი გუმბათის გვიანდელი მოპირკეთება გარედან.

პირველად ძეგლი ვინახულეთ 1977 წელს, გურჯაანის რ-ნის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა აღნუსხვის მიზნით.

ამ დროისათვის ძეგლი შემდეგ მდგომარეობაში დაგვხვდა: შენობას შემოცლილი კქონდა საბურავი. ბევრ ადგილას ჩამოცლილი იყო საპირე წყობა. იქვე უპარა ლავგარდანის მორღვეული და ჩამოცვენილი ქვები. გარდა ამისა, ტაძარი ძლიერ იყო დეფორმირებული. შედარებით უვნებლად შემორჩენილია აღმოსავლეთის ნაწილი, დასავლეთისა კი ძლიერ იყო დაზიანებული. ეს ორი ნაწილი გამოიყოფოდა ფართო შვეული ბზარით, რომელიც შენობას მთელ სიგანეზე კვეთდა — გუმბათის სარკმლების ზემოთა დონემდე. ფართო, გამჭოლი ბზარი აუყვებოდა დასავლეთ გარშემოსავლელის გვერდით კედლებსაც, ხოლო გარშემოსავლელის დასავლეთის კედელი, გვიანი აგურის ზედნაშენით, რამდენადმე დასავლეთით იყო გადაწყული.



ქართული ენციკლოპედია




ტრომების ნაშთი კარიბჭის დას. კედელზე.

Остатки тропа на звади, стене притвора.

ტრომების კვალი შუა ნაწილ დას. კედელზე.

Следы тропа на звади, стене главного нефа.





ტაძრის აქსონომეტრიული ნახაზი.

Аксонметрический чертеж храма.

სეროი ხელი საშ. დასაჯეოთიდან.

Общий вид с юго-запада.





1979 წელს ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს დახმავებით შეკვდივით ძველზე მუშაობას. აზომვით სამუშაოებს წინ უძღოდა ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური შესწავლა და ძველის სრული ფოტოფიქსაცია. ამავე წელს ტაძარი გაიწმინდა მიწაყრილისაგან და სახურავზე ამოსული ხეებისაგან.

პროექტის კონსტრუქტორის - ნ. მესხის მიერ შესწავლილ იქნა ტაძრის რღვევისა და დეფორმაციის ხასიათი, მისი გამომწვევი მიზეზები. 1979 წლის ზაფხულში ჩვენ ჩავატარეთ ძველის სრული არქეოლოგიური აზომვა. ზონდავებისა და შურფების ჩატარებით შესწავლილ იქნა შენობის ყველა მნიშვნელოვანი კვანძი, რის შედეგადაც დამუშავდა რესტავრაციის ესკიზური პროექტი.

ნაგებობის დეფორმაციის ხასიათის გამო, სარესტავრაციო სამუშაოები შემდეგი თანმიმდევრობით წარიმართა: საჭირო გახდა ჯერ შენობის ზემოთა ნაწილების აღდგენა-გამაგრება, ხოლო შემდეგ - საძირკვლებისა.


უკვე განხორციელებული სამუშაოებიდან უნდა აღინიშნოს გუმბათის სარესტავრაციო ღონისძიებები: გუმბათზე მოიხსნა ძლიერ დაზიანებული აგურის გვიანი გადახურვა; ოციანი წლების ფოტომასალის შესწავლისა და გუმბათის პროპორციული ანალიზის საფუძველზე განესაზღვრეთ გუმბათზე ლავგარდანის დონე. ლავგარდანის ქვები, რომლებიც ძველის ირგვლივ იყო მოხვეული, სხვადასხვა ზომისა აღმოჩნდა, თუმცა მათ ერთნაირი პროფილები (შეზნექილი ზედაპირი და ლილვა) გააჩნიათ. ნაწილი ქვებისა ზუსტად იმეორებდა ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილზე დაცულ გვიანი დროის ლავგარდანის (ქვების) ნიმუშებს, ხოლო ნაწილი დაახლოებით 7-8 სმ-ით დაბალი აღმოჩნდა ე. ი. ლავგარდანის ქვების გარკვეული რაოდენობა ძველზე არსებული ქვებისათვის შეუსაბამო იყო სიმაღლით. ამრიგად, ცხადი გახდა, რომ დაბალი ქვების ნაწილი გუმბათის ლავგარდანის გვიანდელ წყობას ეკუთვნოდა.

ლავგარდანის შესაბამის დონეზე დაწყობის შემდეგ აღდგენილ იქნა გუმბათის სახურავიც, მოხსნამდე არსებული სახურავის შესაბამისი ქანობით.

ეკლესიის ფასადები იმდენად სრულად არის შემონახული თავდაპირველი ხაზით (გამონაკლისი დასავლეთის ფასადია), რომ ხუროთმოძღვრის მიერ გააზრებული კომპოზიციისა და მხატვრული ხაზის აღდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს. ამიტომ მათ რესტავრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს არ შეეხებით.

ეკლესიის ტრიკონქების (საკურთხევლის გვერდითა სათავსები) შესწავლის შემდეგ მათი თავდაპირველი ფორმების დადგენის საკითხი დაისვა, რადგან ამჟამად ტრიკონქების გვერდითი აფსიდები ამოქოლილია, ხოლო ცენტრალური ნაწილები კი, ბრტყელადაა გადახურული.

ჩრდილოეთ სათავსის ბრტყელი გადახურვის ზონდავით ვახსნის შედეგად, გადახურვის სისქეში აღმოჩნდა ნალესობით დაფარული გუმბათის ყელის ნაწილი, რომელიც ამ გადახურვის ზემოთაც გრძელდებოდა და თავდაპირველი გადახურვის² მრუდხაზოვან მოხაზულობაში გადადიოდა. გარდა ამისა სამხრეთის ტრიკონქის ბრტყელი გადახურვის ზემოთ, მეორე სართულის იატაკის ნანგრევებისაგან გაწმენდის შემდეგ, აღმოჩნდა გუმ-




გრძივი კვეთი კარიბჭეზე, ხელი
ჩაღლიფოსაკენ.

Разрез притвора с видом на север.

დას. პატრონიკეს ცენტრალურ ნა-
წილის გეგმა.

План центральной части западн.
хор.






ქართული
ენობის ცენტრი



ტაძრის დასავლეთის ფასადის
გრაფიკული რეკონსტრუქცია.

Графическая реконструкция
западного фасада храма.



მ. ბაჩია
1. 1911-1912

ტაძრის აქსონომეტრიული წახაზი.

Аксонметрический чертеж храма.

ბათოვანი კამარის ყელის აგურის წყობის რამდენიმე რიგი, რომლის შიგა პირი, ბრტყელი გადახურვის ზემოთ ნაღვსობით იყო დაფარული.

ამ გამოვლენილმა მასალამ საფუძველი მოგვცა დაგვედგინა, რომ ტრიკონქების ცენტრალური ნაწილები დადაბლებული პროპორციების არაწესიერ ფორმის გუმბათოვანი კამარებით იყო დაგვირგვინებული.

ამ სათავეების სარესტავრაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ სჭირია ბრტყელ-გადახურვების შენარჩუნება, როგორც ჭველის გარკვეული პერიოდის სამშენებლო ფენისა, რომელსაც ვარდა ისტორიულისა კონსტრუქციული ღირებულება გააჩნია.

სამხრეთის სათავეს დასაველეთ კედლის ჩრდილოეთის კიდეში მკაფიოდ იკითხება აგურითა და რიყის ქვით ნაწყობი (დააბლოებით 60 სმ-ის) შვეული მონაკვეთი, რომელიც იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე იწყება და ჯვაროვანი კამარის ქუსლამდეა აყვანილი. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს:

«Возможно здесь одно предположение, а именно, что за этой отделяющейся кладкой, где перемешаны булыжники с кирпичом, скрыта аналогичная лестница на хоры, какая указана при описании северного нефаса»³.



ზემოაღნიშნული კედლის ზემოთ, იატაკის გახსნისას, აღმოჩნდა მათქმით დაფარული კედლის მცირე მონაკვეთი, რომელიც ყველა მონაცემის საფუძველზე კედლის სისქეში მოწყობილი კიბის უჯრედის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

სათანადო გაზომვებისა და გრაფიკული ანალიზის შემდეგ, შენობის ამ ნაწილში უდავო გახდა კიბის არსებობის შესაძლებლობა, რაც სავსებით ემთხვევა ვ. ჩუბინაშვილის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას.

ჩრდილოეთ პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის დათვალიერებისას მის გარეთა კედელში სარკმლის არსებობის საკითხი დაისვა, რადგან სარკმლის შესაძლებელი მდებარეობის ადგილზე კედელი გარღვეული იყო და სარკმლის ხერხელობის კვალი არ ჩანდა.

პროექტზე მუშაობის დროს ჩვენ ვცადეთ კედლის გარღვეულ ადგილში სარკმლის მოთავსება, მაგრამ ამ ნაწილის სივიწროვის გამო სარკმლის არსებობა აქ საეჭვო შეიქმნა. ყოველ შემთხვევაში, კედლის ამ ნაწილში სარკმლის არსებობა შეიძლება არ გამოვრიცხოთ, თუ შესაძლებლად მივიჩნევთ, რომ იგი სამხრეთის პატრონიკეს სარკმლისგან განსხვავებით, სადგომის იატაკიდან იწყებოდა და ძველის სარკმლებიდან ყველაზე მცირე ზომისა იქნებოდა, რაც ნაკლებ სავარაუდოა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ძველის დასავლეთ გარშემოსავლებისა და კერძოდ მისი ცენტრალური ნაწილის — კარიბჭის, ხუროთმოძღვრული ფორმების რაობის გარკვევა. შენობის ამ ნაწილის მხატვრულ-არქიტექტურული კომპოზიციის თავდაპირველი სახით აღდგენა დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული, რადგან გარშემოსავლელი დროთა ვითარებაში ძლიერ დაზიანდა და ჩვენამდე არსებითი გადაკეთებებით მოაღწია.

ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე, ძველზე მოპოვებულმა მეტად საინტერესო მასალამ საფუძველი შეგვიქმნა გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება შენობის ამ ნაწილის თავდაპირველი აღნაგობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გრაფიკული რესტავრაციის პროცესში იძულებული ვართ, ზოგიერთი ელემენტის ფორმა და ზომა პირობითად მივიღოთ (მაგ. გუმბათოვანი კამარის სიმაღლე, პატრონიკეს სარკმლის ზომა, ფასადზე მისი კანთავსების ადგილი და სხვ.).

ამჟამად კარიბჭის გადახურვისგან მხოლოდ ოთხი კუთხის ტრომპის კვლილაა შემორჩენილი შენობის ამ ნაწილის დეტალური შესწავლის შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვეცა. კერძოდ ის, რომ კარიბჭე დადაბლებული პროპორციების, უყულო გუმბათოვანი კამარით იყო გადახურული. ამ მოსაზრების რეალური საფუძველი შეგვიქმნა კარიბჭის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტრომპის თავზე კედლის გახსნის შემდეგ გვიანდელი, ნატეხი აგურით ნაწყობი ფენის მოხსნისას (მაქსიმალური სისქე 9-10 სმ-ია) გამოჩნდა შენობის თავდაპირველი შრე, რომელშიაც აგურისა და რიყის ქვების თავისებური განლაგება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ადგილას მრუდხაზოვანი გადახურვის ქუსლი უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს მხარს უმაგრებს ის გარემოებაც, რომ კედლის გახსნის შედეგად სავსებით გამოირიცხა კარიბჭის ქვის ფილებით გადახურვის შესაძლებლობა, რადგან ასეთი გადახურვის არსებობის შემთხვევაში, კედლის თავდაპირველ



ხელშეუხებელ ფენაში გადახურვის ქვის ფალები კვალი აუცილებლად დარჩენილია ჩემოდა. ვარდა ამისა საქართველოს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის ტრომპებზე დამყარებული მსგავსი გადახურვის არცერთი მაგალითი არ მოვ- ვუპოვებ.

საეგლისხმოა იხივ, რომ კარიბჭეში გამოყენებული ტრომპები თავისი სიდიდით აღემატება ძეგლის სხვა დანარჩენ ტრომპებს და წინიდან ორმა- გი თაღოვანი მონარჩობა აქვთ. ამ მხრივ ხუროთმოძღვარი კარიბჭეს წარ- მოვიდგენს, როგორც შენობის მხატვრულ-ტექტონიკურად აქცენტირებულ ნაწილს, რომელიც ლოკურადაა ჩართული შენობის მთელ არქიტექტონიკა- ში. ამასთანავე მშენებელმა მეტად გააზრებულად გამოიყენა ტრომპის კონს- ტრუქციული შესაძლებლობა და ორმაგი თაღის გამოყენებით, გუმბათქვეშა სწორკუთხედზე (3,8 X 3,6 მ.) თითქმის თანაბარგვერდებიანი რვაკუთხედი შე- ქმნა.


დასავლეთ პატრონიკეს ცენტრალური ნაწილის შიგა და გარეგანი ფორ- მების თავდაპირველი აღნაგობის წარმოსადგენად ფრიად მნიშვნელოვანია პატრონიკეს თავდაპირველი გეგმის გარეგანი მოხაზულობის აღმოჩენა, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ დასავლეთ პატრონიკეს შუა ნაწილის გადა- წყვეტა განსხვავდებოდა გვერდითი პატრონიკების გადაწყვეტისაგან, რო- მელსაც გარედან საკურთხვევლის გვერდითა სათავსების მსგავსი სამწახნაგ- შვერილი ნაწილი ჰქონდა. ამ მომენტის დადგენის შემდეგ საშუალება მოგვე- ცა გრაფიკულად წარმოგვედგინა დასავლეთ პატრონიკეს შუა ნაწილის თავდა- პირველი სახე. იგი სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით წაგრძე- ლებული სადგომია, რომელიც გვერდით ნაწილებში თითო თაღოვანი გასასვლელითაა გახსნილი, ხოლო დასავლეთით კონქით გადახურული აფსი- დი აქვს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, ჩვენს წინაშე ისმის კითხვა: ხომ არ შეაფერხებდა პატრონიკეს იატაკში ამოხეჩილი კარიბჭის კამარის ნაწილი II ხართულის სადგომებს შორის კავშირს? ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფუნქციონალური კავშირის არსებობის აუცილებლობითაა შეპირობებული და- სავლეთ პატრონიკეს გეგმის ასეთი კონფიგურაცია. ხუროთმოძღვარი პატრო- ნიკეს დასავლეთის გარეგან ედელს სამწახნაგა შვერილით ართულებს, რომ- ლის შესაბამისი შინაგანი აბსიდური მომრგვალებების ხარჯზე დაახლოებით 70 სმ-ის გასასვლელია შექმნილი. ვარდა ამისა, ამ შვერილი სამწახნაგა ნაწი- ლით მასათა აღნაგობის საერთო კომპოზიციამი გარკვეული წონაპირობაცაა დამყარებული.

ძეგლის დასავლეთის ფასადის თავდაპირველი ასახულობის აღსადგენად მასათა საერთო დანაწევრებიდან გამოვდივართ. ამრიგად ჩვენა რეკონსტ- რუქციის მიხედვით ფასადზე, ფართო გარშემოსავლელის შუა ნაწილს კარიბ- ჭე გვერის, რომელიც ზემოდან პატრონიკეს სამწახნაგოვანი მოცულობითაა დასრულებული, მის ზემოთ მთავარი ნაწიის მკლავებია აღმართული და ბო- ლოს ძეგლის საფეხუროვან მოცულობებს პირამიდული სახურავით დასრუ- ლებული გუმბათის ყელი აგვირგვინებს.



ტაძრის გრძივი განაკვეთი, ზედა
ნაწილიდან.

Продольный разрез храма с видом
на север.



ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ძეგლის უმთავრესი ნაწილების რესტავრაცია, რომელიც შენობის სამშენებლო ფენების ისტორიულ ქრონოლოგიური შესწავლის საფუძველზეა შესრულებული. რაც შეეხება ტაძრის ყველა ნაწილის რესტავრაციას, უნდა აღინიშნოს, რომ ეს, ამჯერად ჩვენი ამოცანის ფარგლებს სცილდება. ისინი გამახვილებულ ყურადღებასა და საგანგებო წინასწარ სამუშაოების ჩატარებას მოითხოვენ.

¹ ძეგლის რესტავრაციის ერთ-ერთი ვარიანტი წარმოდგენილია გ. ჩუბინაშვილის ნაშრომში Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии, стр. 287—315; Н. Алхазшвили. Вопросы реставрации купольного храма Вачнадзвანского монастыря. Доклад на II международном симпозиуме по грузинскому искусству. Тб., 1983.

² აღსანიშნავია, რომ ამ გადაჭრვას სავსებით წესიერი ნახევარსფეროს ფორმა არა აქვს.

³ Архитектура Кахетии Гб., 1959, стр. 299.

⁴ არ არის გამორიცხული ისიც, რომ ზეროპოპოძეს კარბჭის გადასახტავად გუმბათოვანი კამარის ნაცვლად შერეული კამარც გამოეყენებია. იმგვარადვე, როგორც შვედლთან გერქანის ორგუმბათოვანი ტაძრის ჩრდ. აღმ. კუთხის სადგომია.



ახალციხის რაბათის მეჩეთი. ხელი
აღმოსავლეთიდან.

Мечеть Ахалинского рабата.
Вид с востока.


ნაწილი თოღუა, მარინა გამყრელიძე, ლევან თოფუჩია,
სოფარ ცანავეა, თამაზ იაქაშვილი

ახალციხის რაბათის მეჩეთზე გაკრძელებული ეროვნის გამომწვევი მცენარეები

თბილისის სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების
სამეცნიერო-ტექნიკური ლაბორატორიის ბიოლოგიცა და ქიმიის სექტორის
თანამშრომლებმა შეისწავლეს ახალციხის რაბათის მეჩეთზე დასახლებული
ეროვნის გამომწვევი მცენარეები, რომლებიც იწვევენ ძველის დაშლა-ნგრე-
ვას. გარკვეულ იქნა ეს მცენარეები, მათი განვითარების პირობები და შემუ-
შავდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. ძველი დამუშავდა 1981
წლის ზაფხულში.

ახალციხის რაბათის მეჩეთი, როგორც სახელწოდება ვეჩვენებს, შედის
რაბათის შემადგენლობაში. რაბათი კი წარმოადგენს ქ. ახალციხის ძველ ნა-
წილს. იგი გაშენებულია მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, მაღალ
კლდოვან ვორაკზე. რაბათში შემორჩენილია ბევრჯერ გადაკეთებული ციხე,
ახალციხის მფლობელთა სასახლე, სასახლის ტიპის ნაგებობა და თვით მეჩე-
თი.

რაბათის მეჩეთი აგებულია 1752 წელს ოსმალების მიერ. იგი საკმაოდ
დიდი ნაგებობაა (მთლიანი ფართობი 8180 კვ. მ), ფართო ოვალური სა-
ხურავით (3038 კვ. მ.). ნაგებია აგურისაგან და შეგადაშიგ ჩაყოლებულია
ჭა მცენარეებით ძირითადად დაფარულია სახურავი. (დაფარულობა
100%-ია).



ახალციხის რაბათის მეჩეთის გუმბათის
ქრდიის სქემატური ნახატი. პოტური
ეროზიის გამოწვევი მცენარე — ას-
ფურცელა.

Схематический разрез купола ме-
чети Ахалицхского рабата. Растение
— тащетуи вызывающий биозро-
зию.

ახალციხეში სტეპის ჰავაა, ცივი, მცირეთოვლიანი ზამთრით და ხან-
რძლივი თბილი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურა — 8,8°C, აგვის-
ტომი 20,5° აბსოლ. მაქს. 39°.

ამ პეისათვის დამახასიათებელი მცენარეებითაა დაფარული ახალციხის
რაბათის ძველები.

ახალციხის რაბათის მეჩეთზე და ვალავანზე გამოვლენილია 41 სახე-
ბის მცენარე 17 ოჯახიდან და 36 გვარიდან, რომელთაგან მერქნიანი (ზე და
ბუჩქი) მცენარეები 5, დანარჩენი ბალახოვნებია. ეს მცენარეები დიდი სი-
შირით არიან წარმოდგენილნი მეჩეთის სახურავზე. აქ ძირითადად გავრ-
ცელებულია ქსეროფიტი მცენარეები, რომლებიც სიმშრალის მოყვარულნი
არიან.

ბუჩქოვანი მცენარეებიდან აღსანიშნავია შავჯაგა ანუ ჯღარდალა. ეს
მცენარე დაჯღარდული და ხშირი, ეკლიანი ტოტებით ღიდ ფართობს იკ-
ვებს ძველზე. ერთ მცენარეს 3-4 კვ. მ და მეტი ფართობი აქვს დაკავებული
თვით მცენარის მოცულობა სწორ ზედაპირზე გადაანგარიშებით 15-20 კვ. მ-ს
აღწევს. ამას ვითვალისწინებთ მცენარის კიმ. ნივთიერებებით დამუშავების
დროს. შავჯაგას აქვს პატარა ელიფსური ფოთლები და წვრილი შავი ნა-
კოფი.

ეფედრა — ბუჩქოვანი მცენარეა, მარადმწვანე ღეროებით და ვიწრო ჯი-
ხისებური ფოთლებით. ნაყოფი მომრგვალო ფორმის წითელი კენკრაა.

ძეძვი. ეს ხშირი, დახლართული და ხშირ ტოტებიანი ბუჩქია და დიდ ხ-
ანს აყენებს ძველს.

ფიჭვი. მხოლოდ ერთი ეგზემპლარის სახით არის წარმოდგენილი. ერთ ბუჩქად არის ასკილი.

ბალახოვანი მცენარეებიდან აღსანიშნავია რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომადგენელი, ახფურცელი. ეს მცენარე ხასიათდება მსხვილი ფესურებით, რომლებიც — 2-6 სმ დიამეტრისაა. ფესვები ღრმად არის ჩასული სახურავში, გაურღვევია ჰერი და შიგნით 2-5 მეტრის სიგრძის ფესურები ჰკიდია.

მეჩეთის სახურავზე დიდი სიხშირითაა წარმოდგენილი აგრეთვე მარცვლოვანი მცენარეები. აქ ჩვენ შეგვჩვდა 9 სახეობის მარცვლოვანი მცენარე, რომლებიც კორდს ქმნიან.

ახალციხის მეჩეთზე განვითარებული მცენარეების სია შემდეგია:

ოჯახი: ფიჭვისებრნი —	Pinaceae
1. ფიჭვი —	Pinus Sosnovskyi
ოჯახი: ეფედრასებრნი —	Ephedraceae
2. ეფედრა —	Ephedra procera
ოჯახი: ჭინჭრისებრნი —	Urticaceae
3. კედლისპირა —	Parietaria judaica
ოჯახი — ნაცარქათამასებრნი —	Chenopodiaceae
4. ნაცარქათამა —	Chenopodium album
5. წითელწვერა —	Kochia prostrata
ოჯახი: მიხაკისებრნი —	Caryophyllaceae
6. ტუნტრუკო —	Stellaria media
ოჯახი: ჭვაროსანნი —	Cruciferae
7. გოხგოლა —	Sisimbrium loeseli
8. —	Alissum hirsutum
ოჯახი: — მსუქანასებრნი —	Crassulaceae
9. კლდის დუმბა —	Sedum caucasicum
ოჯახი: ვარდისებრნი —	Rosaceae
10. ასკილი —	Rosa canina
ოჯახი — პარკოსანნი —	Leguminosae
11. ყვითელი ძიძო —	Melilotus officinalis
ოჯახი — ორყურასებრნი —	Zygophyllaceae
12. ორყურა —	Zygophyllum fabago
ოჯახი: ხეჭრელისებრნი —	Rhamnaceae
13. ძეძვი —	Paliurus spina christi
14. შავჯავა. ჭღარდალა —	Rhamnus Pallasii
ოჯახი: ლაშქარასებრნი —	Borraginaceae



15. ლურჯი ძირწითელა — ოჯახი: მრავალძარღვასებრნი —	Echium vulgare Plantaginaceae
16. ჩვეულებრივი მრავალძარღვა —	Plantago major
17. ლანცეტა მრავალძარღვა — ტუჩოსანნი —	P. lanceolata Labiatae
18. ქარაძენძი —	Nepeta mussini
19.	Ballota mudderalis
20. ქონდარი — ოჯახი: ენდროსებრნი —	Satureae spicigera Rubiaceae
21. ენდრონიკა — ოჯახი: რთულყვავილოვანნი —	Galium subuliferum Compositae
22. ირაგა, კამანია —	Anthemis cotula
23. ფარსმანდუკი —	Achillea millefolium
24. თავყვითელა —	Senecio vulgaris
25. აბზინდა —	Artemisia absinthium
26. მამულა —	A. vulgaris
27.	A. austriaca
28. ოროვანდი, ძირხვენა —	Arctium tomentosum
29. თამთარულა —	Scorzonera lanata
30. ხარნუყა —	Hieracium incanum
31.	H. colodontopsis
32. ასფურცელა — ოჯახი: მარცვლოვანნი —	Tanacetum myriophyllum Gramineae
33. ოქროშვრია —	Trisetum pratense
34.	Trisetum rigidum
35. კეწეწურა —	Koeleria gracilis
36. თივაქასრა —	Poa annua
37. ცხვრის წივანა —	Festuca ovina
38. ნამკალა, ღვარძლი —	Lolium rigidum
39. შვრიელა —	Bromus japonicus
40. ქერი —	Hordeum crinitum
41. თავვიყანა —	H. leporinum

აღნიშნული მცენარეების მოსპობის მიზნით ბრძოლის ღონისძიებები ჩატარდა ძველზე იმავე წელიწადს. ქიმიური პრეპარატებით დამუშავდა ხე, ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარეები. მერქნიანი მცენარეების მოსასპობად გამოყენებული იყო 10%-იანი 2,4 დ ამინის მარილის ხსნარი. ბალახოვანი მცენარეების გასანადგურებლად ტორდონ 22-კ-ს 5%-ანი წყალხსნარი. შედეგი კარგია. მკეთის სახურავი 100%-ით განთავისუფლდა ეროზიის გამოწვევი მცენარეებისაგან. ასეთივე შედეგია მკეთის კედლებზე და მკეთის წინ ქვაფენილზე.




უცნობი ძეგლი ბელაშიში?

გელათის ანსამბლს სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ციცაბო საქოლავის ქედი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე დიდ ქარაფოვან რკალად გრძელდება კორტოხისთავის. ნაქერალას, ორხვისა და ხვამლის მთაგრეხილებში. სწორედ ამ რკალს შიგნით მოქცეული ოკრიბის შედარებით მცირეგორიანი „ტაფობი“ წარმოადგენდა ძველთაგანვე ადამიანისათვის ხელსაყრელ საცხოვრებელ ადგილს, ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან საიმედოდ დაცულს აღნიშნული მთაგრეხილებით, დასავლეთით გახსნილს ზღვის გრილი ბრიზებისათვის მდ. რიონისა და წყალწითელას ხეობებით. ამ რკალის კოლხეთის დაბლობიდან თითქოს და ერთგვარ ფორპოსტებს და მაშასადამე „ტაფობში“ შემავალი ყველა კომუნიკაციების მნიშვნელოვან მაკონტროლებელ პუნქტებს წარმოადგენს დასავლეთით მთა ხვამლი და აღმოსავლეთით საქოლავის ქედი ე. წ. დავითის კონცხისა და წმ. ელიას ზეგანით.

მეცნიერ-გეოლოგთა აზრით „ტაფობი“ წარმოადგენს პრეისტორიული ზღვის ყურეს ქვიშაქვებისა და თიხნარის ფენებით, გარშემო მთაგრეხილები კი ძლიერად დაკარსტულ კირქვოვან სისტემას.

საქოლავის ქედი ამ სისტემის ერთ-ერთი ნაწილია. იგი მდ. წყალწითელას ხეობაში იწყება გელათთან და აღმოსავლეთისაკენ 8 კმ-ის შემდეგ მთავრდება მალარას ცნობილი გვირაბით. მორფოლოგიურად ქედი გელათის მახლობლად ძირითადად ქვედა ცარცის 100-150 მ. სიმძლავრის ძლიერ დაკარსტული კირქვის ფენისა და მის ქვეშ ვულკანურ ზაფარზე დაყრდნობილი 20 მ. სიმძლავრის კვარცული ქვიშაქვებისგანაა შედგენილი. საერთო დაქანებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მისი კარსტული ხასიათი ზედაპირზე გამოვლენილია დიდი ზომის „ძაბრებისა“ და „ჭების“ სახით ქედის პლატოზე და ბრავალი მღვიმით გელათისა და მონამეთის ახლოს. ზოგიერთი მათგანი ცნობილი არქეოლოგიური ძეგლია (საკაფია, როთვალა, იაზონი, ქახათა), ზოგი კი შემდგომ გამოვლენა-შესწავლას მოითხოვს, რადგანაც ადამიანის ჩარევის უტყუარი ნიშნები ახლავს.

ყველა ამ გარემოების ვათვალისწინებამ მიგვიყვანა შემდეგ ვარაუდამდე, საქოლავის ქედის ქვეშ არსებობს მძლავრი ერთიანი მიწისქვეშა ბუნებრივი კომუნიკაციების სისტემა მალალი ხეობებით და დარბაზებით (ზედაპირზე მწკრივად ჭანლაგებული კარსტული ძაბრების გასწვრივ; შესაძლოა მიწისქვეშა მდინარეებით და ღრმად დასაიდუმლოებული გამოსასვლელებით მდ. წყალწითელასა და ჭიშურას ხეობებში); ზემოთ მოყვანილ მონაცემებთან ერთად, ჩვენი წინაპრების ასე გულმოდგინე მიდრეკილებაში გელათის მიდამოებისადმი, დიდი როლი შეასრულა შემდეგმა გარემოებამაც:





თბილისის სქემა.

ქარსტული ძაბრების სიტუაციური
პლანა.

Схема «Городище».

Ситуационный план карстовых
воронки.





კედლის შემორჩენილი ნაწილის
კვეთი.
Сечение существующей части «сте-
ны».




კედლის ფრაგმენტი.

Фрагмент стены.


— რომ მღვიმეთა სისტემაშია ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლები პალეოლითიდან შუა საუკუნემდე, პირველყოფილი ადამიანის ფერწერის, ოქრომჭედლობის, ხელნაწერების, თუ სხვა განძის სახით, (იქ ხომ ყველა სახის ძეგლის შენახვისათვის ოპტიმალური მიკროკლიმატური რეჟიმია).

ზედაპირზე არსებული ძეგლები უსათუოდ კავშირშია ამ სისტემასთან და თვით გელათის ანსამბლის განვითარებაც ერთ-ერთმა საიდუმლო ჩასასვლელმა განაპირობა (ხახულის კარედიც შეიძლება ნმ ჩასასვლ-



საერთხველის ლიდი.

Алтарный камень.



ელის დაკარგვის გამო დაგვრჩება მინის ზევით); არსებობს თქმულება გელათისა და ბაგრატს შორის მინისქვეშა კავშირის შესახებ. ამაშიც არაფერია დაუჯერებელი, რადგანაც ასეთი გზის ერთი ნაწილია ე. წ. „საფიჩხიის მღვიმე“, რომელიც ბუნებრივი გვირაბის სახითაა განთლილი წყალნითელას ხეობიდან მწვანე ყვავილას „ძაბრებამდე“ — საკმაოდ მდიდარია ბუნებრივი ფორმებითაც და დაუმსახურებლადაა მიტოვებული უყურადღებოდ.

აქედან გამომდინარე გელათის ანსამბლი აგებულია ჩვენი ისტორიისათვის დიდად მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც უსათუოდ უნდა მოინახოს უძველესი დროიდან გელათის მონასტრის აგებამდე არსებული დიდი უწყვეტი დასახლების, იქნებ ციხე-ქალაქის, ნაშთებიც ცნობილი ნანგრევების გარდა წმ. ელიაზე, წმ. საბაზე, „დავითის კონცხზე“, „ბერის ციხეზე“, თუ „ნასახლარზე“.

საყურადღებოა ამ მიმართულებით გელათის მიდამოების ტოპონომიკაც: „საქოლავი“, „დოხორა“, „ჭახათა“, „ქაჯიჯელე“, „ოხოშირა“, „ნავენახავი“, „ნაგარები“...

ქედის სახელი „საქოლავი“ — შესაძლოა რაიმე დიდი, მნიშვნელოვანი მღვიმის, ჭის, უფსკრულის ამოქოლების ან მასში ვინმეს ისტორიულ ჩაქოლვასთან იყოს დაკავშირებული.

„სოხასტრის“ ზემოთ ერთ პლატოს ხალხში ახლაც „დოხორას“ ეძახიან. „დოხორა“ — დოხორინი“ კი ლაზურად დასახლებას, საფუძველიან დასახლკარებას ნიშნავს. თუ დაეუშვებთ, რომ სახელწოდება დიდი დასახლებიდან მოდის, რომელიც სულ გვიან ეგრისის სამეფოს დროს (ჩვ. წ. VI-VII სს.) დაარსდა, საეჭვო ხდება, თუნდაც სტრატეგიული თვალსაზრისით მისი კლდის ძირში მდებარეობა; იგი უფრო მეტად სადაც მალა. ქედზე უნდა არსებობდეს, უნდა იყოს შემოფარგლული ძლიერი გალავნით, განსაკუთრებით მაღალით და გამაგრებულით ქედის უფრო დამრეც სამხრეთის მხარეს: ამავე, მისასვლელად უფრო იოლ მხარეს უნდა ჰქონდეს მთავარი შესასვლელი — კარიბჭე; იგივე სტრატეგიული ან ხალხმრავალი დასახლების წყლით მომარაგების მიზნით, გამოსავლენია მისი კავშირი მიწისქვეშა კარსტულ ხეობებთან.

ამ ვარაუდით ჩვენ გადავამოწმეთ საქოლავის ქედი და მართლაც მის სამხრეთით ტყით დაფარულ პლატოზე 1980 წელს მივაკვლიეთ 1,5-3,0 მ. სისქის ციკლოპური წყობის კედლებით ამოყვანილ ნაგებობათა სისტემის, ქალაქისა თუ ციტადელის გალავანს, 5 მ. სიგანის „კარიბჭით“ სამხრეთიდან. „კარიბჭის“ მარცხნივ კედელი, მოიქცევს რა თავის შიგნით წმ. ელიას და მის გარშემო მდებარე ნანგრევებს, მიემართება ჩრდილოეთისაკენ, კონცხამდე ეკლესიის ნანგრევით; „კარიბჭის“ მარჯვნივ მეორე კედელი, საყრდენი კედლების სისტემასთან ერთად შემოფარგლავს ოთხ ტერასას 2-3 მეტრით განსხვავებული დონეებით; შეინიშნება რამდენიმე ბურჯის ნაშთი. გალავანს შიგნით მოქცეული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 10 ჰ-ს წარმოადგენს და რაც ყველაზე საინტერესოა ჩვენთვის, გალავნის სამხრეთ მხარეს მეორე ასეთივე ძლიერი კედლით, რომელიც ამასთანავე ზოგან 2-3 მ სიმაღლის საყრდენ კედელსაც წარმოადგენს, საგულდაგულოდა შემოფარგლული 30 მ. სიგანის კარსტული „ძაბრით“. ეს „ძაბრი“ ზემოთ ხსენებული სისტემის ერთერთი განაპირა ღრმულია (სქემაზე პუნქტირითაა აღნიშნული) გელათის მხრიდან და წარმოადგენს მიწისქვეშეთში ერთ-ერთ ძირითად ჩასასვლელს. ეტყობა ამიტომაცაა ასე იზოლირებული თვით „ქალაქის“ შიგა სივრციდანაც. სწორედ აქედანაა მოსალოდნელი უმოკლესი კომუნიკაცია გელათის ანსამბლის რომელიმე ძეგლამდე. კედელში ჩატანებულია გაურკვეველი დანიშნულების ქვა მრგვალი



ლრმულით, ასეთივე გაურკვეველი როფის მსგავსად დამუშავებულია ქვის ბლოკია ერთ-ერთ საყრდენ კედელზეც.

კონსტრუქციულად გალავნის კედელი წარმოადგენს ორი მხრიდან უხეშად გათლილი დიდი ზომის ქვების, ციკლოპურ წყობას შუაში უფრო მცირე უსწორმასწორო ნამსხვრევების უდულაბო შევსებით. ცნობილია, რომ აღნიშნული კონსტრუქციის კედელი კონსერვატული ხასიათისაა და მოიცავს პერიოდს ენეოლითიდან ფოცალურ ეპოქამდე. ამიტომ ძველის საბოლოო დათარიღება მისი ყოველმხრივი კომპლექსური შესწავლის შემდეგ თუ გახდება შესაძლებელი. ერთი რამ კი ცხადია, რომ ის თვით გელათზე გაცილებით ძველია. თავისი პირვანდელი სახით ძველი გრანდიოზული იქნებოდა, დიდ როლსაც შეასრულებდა, ალბათ, ჩვენი ერის ისტორიაში და ამიტომ შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდა მემატიანეებს.

გელათზე არსებულ ლიტერატურაში ცნობების მოკვლევისას მონასტერზე უფრო ძველი რაიმე ნაგებობებზე მინიშნება, ისიც ზოგადად, მხოლოდ გ. წერეთელთან ვნახეთ სტატიაში „როგორ აშენდა გელათი“, რომელიც 1894 წლის №2 გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა. სტატიაში მოყვანილია ერთ-ერთი არაქრისტიანული სარკოფაგის გახსნა მონასტერთან ახლოს საყანაში, სადაც ნანგრევებიდან რომაული მონეტა ამოუღიათ, „რომელზედაც რომის იმპერატორის სახე იყო გამოქანდაკებული“. ყოველმა ამან — დასძენს მეცნიერი — „მე დამარწმუნა, რომ გელათის მონასტერზე ბევრად ადრე ამ არემარის მიდამოებში უნდა ყოფილიყოს მდიდრად აშენებული ალაგი, რომლის კულტურა ბევრად უფრო ძველი უნდა ყოფილიყო ბიზანტიის კულტურაზე“.

შესაძლოა, ეს წყაროებში აღწერილი რომელიმე ძველი იყოს, მეცნიერებისათვის დაუდგენელი ადგილმდებარეობით.

გელათის მახლობლად არის სოფელი „ოხოშირა“ იგივე „ოხვამერი“ (?), რაც ლაზურად დიდ სალოცავს ნიშნავს; სოფ. ოხოშირას არ გააჩნია დიდი სალოცავი ადგილისათვის დამახასიათებელი ნიშნები: (მთა ხვამლი ხომ იგივე „ოხვამურია“).

ხვამლის მოპირდაპირე ფორპოსტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ საქოლაგის ქედის ის ნაწილია, რომელზედაც ძეგლია. ეს ადგილი ზითქოსდა განკუთვნილია დიდი სალოცავი კერპისათვის. შესაძლებელია ეს იყო „ოხვამერი“, „უქვამერი“, დიდი „უქიმერიონის“ სახელგანთქმული ციხე-სიმაგრე, რომლის ადგილსამყოფელი დღესაც არ არის დადგენილი და სოფელმაც ციხის დანგრევის შემდეგ გადარჩენილი დასახლებიდან მიიღო სახელი „ოხოშირა“ ან იქნებ „ერმრავალი ქალაქი“ წყალნითელა? ანდა შეიძლება საერთოდ საუკუნეების სიღრმეში სახელდაკარგული და დავიწყებული ქალაქი?

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძეგლის, უკვე გადაუდებელ ღრმა, ყოველმხრივ შესწავლას შეუძლია მხოლოდ, რასაც იმედია ღირსეულად გაართმევს თავს ქართველი საზოგადოება და გადაარჩენს ძეგლს ფიზიკური განადგურებისაგან..

**პერიუზინის ტაძრის მოხატულობის ფრაგმენტები საქართველოს
ხალკვნების სახელმწიფო მუზეუმიდან***

წინამდებარე ნომერში გრძელდება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მონუმენტური ფერწერის ფონდში დაცული ბერთუბნის გამოქვაბული ეკლესიის კედლის მოხატულობის ფრაგმენტების (დედნების) პუბლიკაცია; თითოეული ფრაგმენტის აღწერა-დახასიათებასთან ერთად აქ დაზუსტებულია ცალკეული სცენისადმი ან გამოსახულებისადმი მათი კუთვნილება, აგრეთვე თავდაპირველი ადგილი ფერწერული შემკულობის სისტემაში. ნაშრომის ამ ნაკვეთში ბერთუბნის მოხატულობის რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეტალია გაერთიანებული. ფრაგმენტთა (აგრეთვე ტაბულათა) ნუმერაცია პუბლიკაციის მთლიანი სახის შენარჩუნებისათვის ერთიანი ნუსხის მიხედვით გრძელდება.

14. ნაღვლობის ნატეხი მცენარის ფოთლოვანი ღეროს გამოსახულებით (ტაბ. 11, 1)

საინვ. № 310;

ზომა — 24 × 12;

ბერთუბნის ტაძრის მოხატულობის ეს დეტალი ნაშრომის პირველ მონაკვეთში ჩვენს მიერ განხილული № 309 ფრაგმენტის მსგავსად არის შესრულებული. ცხადია, იხივ დასავლეთ სათავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში გამოსახულ მცენარეს ეკუთვნის.

15. სახის ფრაგმენტი (ტაბ. 11, 2).

საინვ. № 311;

ზომა — 18,3 × 24;

წმ. მამის სახისაგან ახლა მხოლოდ თავის მარჯვენა ნაწილია არის დარჩენილი; ფრესკის ზედაპირი ძალზე დაზიანებულია და სახის ნაკვეთებიდან აქ მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ფრაგმენტი გაირჩევა (ესაა თხელი ყავისფერი მონასმებით დატანილი წარბის, თვალის და ყურის მცირე ნაშთები). სახის წერის მანერის შესახებ მსჯელობა ფრაგმენტის ასეთი დაზიანების გამო ჭირს. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ხარჩული აქ ოქრანარევი მწვანეთია შესრულებული, მოკლე თმა კი მოყავისფრო ფერზე შავი ფერის თხელი მონასმებით არის გადმოცემული.

ესაა ეკლესიის დასავლეთ კედლის ტიმპანზე, მის ქვედა რეგისტრში, წმ. მოწამეთა და მეუღებოვეთა რიგში წარმოდგენილი წმ. ეფთვიმეს სახის მარჯვენა ზედა ნახევარი. ამგვარი ვარაუდის საფუძველს შემდეგი გარემოება გვაძლევს: თავის ანალოგიური მოხატულობა დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ ნახევარზე გამოსახულ წმ. მამათა შორის სამი ფიგურისთვის არის დამახასიათებელი (შდრ. წმ. ეფთვიმეს, წმ. საბას, წმ. მაქსიმე აღმსარებლის გამოსახუ-

გაგრძელება. დახაწვისი იხ. „ქველის მეგობარი“ № 63.

ლებები); მათგან უკანასკნელი ორის სახე ადრევე იქნა დაზიანებული, ამასთან სწორედ იმ ადგილზე, რომელიც ჩვენს ფრაგმენტზე სრული ნახატი მოლწეული.

16. დრაპირებული მოსახსამის და კვართის დეტალი (ტაბ. 11, 3).

საინვ. № 312;

ზომა — 20,5 X 13;

ბათქაშის ნატეხზე შემორჩენილია მოსახსამის ტალღებად დაცემული ქობის რამდენიმე ნაკეცი, აგრეთვე კვართის ნაოჭების აღმნიშვნელი ხუთიოდე არათანაბარი სისქის ვერტიკალური ხაზი. ორივე — მოსახსამისა და კაბის ნახატი მოწითალო-ყავისფერი საღებავით არის დატანილი ნაღესობაზე. შესრულებულია ძალზე თავისუფალი, მსუბუქი მონასმებით, ფენჯის კვალი ამკაფიოდ ჩანს. უდავოა, რომ ეს მოსამზადებელი ნახატია.

ფრაგმენტი ტარის და დასავლეთ დამატებითი სათაქის დამაკავშირებელი ღიობის სამხრეთ ქანობზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში შესრულებული წმეუდაბნოვის გამოსახულებას ეკუთვნის — ესაა მისი შესამოსელის დეტალმარჯვენა მუხლთან.

17. სახის ფრაგმენტები (ტაბ. 11, 4).

საინვ. № 313, №315, № 316;

ზომები 19 X 13; 14 X 11; 17 X 10;

ამ სამი დეტალის შერთებისას (საერთო ზომა — 20,5 X 28,5) აღმოჩნდა, რომ ისინი წმ. მამის გამოსახულებას ეკუთვნის. ფრაგმენტებზე წარწერა (ან მისი ნაწილი) არ შემონახულა, თუმც, ამის მიუხედავად, ტარის დაზიანებაზე გადაღებულ ფოტოებთან შეჯერებისას ცხადი გახდა, რომ ესაა საკურთხეულის სამხრეთ კედელზე, სარკმლის დასავლეთით გამოსახული წმ. ათანასე აღექსანდრიელის სახისა და მხრის ნაწილი (მისი მარჯვენა ნახევარი), კერძოდ — ლოყა, ნაცრისფერი ფართო წვერის ფრაგმენტი, მარცხენა ყური, თმის მომნიშნავი ორიოდე თხელი ნაცრისფერი მონასმი, აგრეთვე თეთრი ფერის კვართის გულისპირის (იგი კირითაა შესრულებული) და ჯვრებით შემკული მუქი ყავისფერი ომოფორის დეტალები (ჯვრები თეთრით იყო ნაწერი. საღებავი ახლა აცვენილია და ომოფორის ყავისფერ ფონზე ჯვრის ფრაგმენტის მოიასამნისფრო ანაბეჭდია დარჩენილი). სახის წერის მანერა ზემო აღწერილი ფრაგმენტის (საინვ. № 37) მსგავსია (კვლავ სამტონოვანი სისტემა), წვერი ოქროს სარჩულზე რუხი ფერის მსხვილი ტალღური მონასმებით სრულდება (მათ შორის სარჩულის ფენა ჩანს კიდევ), რომლებზეც ზემოაღნიშნული ფერის თხელი, დახვეწილი მონასმებია დატანილი.

18. ბათქაშის ნატეხი დრაპირების დეტალით (ტაბ. 11, 5).

საინვ. № 314;

ზომა — 11 X 17;


სამოსის ძირითადი მუქი ლურჯი ფერი (იგი მოწითალო ოქრის და ლავარდის შერევის შედეგადაა მიღებული) ფრაგმენტზე მოწითალო-ყავისფერ სარჩულზე არის დადებული. დრაპირება ღია ლავარდისფერით სრულდება (ისინი დატანილია მსხვილი მონასმებით). სამოსის ტალღური მონაზულობის



1



2



3



4



5



6



7



8



9




10

ტაბ. II. ბერთუბნის გამოქვაბული
ბაქსის მონატულობის ფრაგმენტი.

Табл. II. Фрагменты росписи пе-
щерной церкви в Бертубани.

ქვეა კიდესთან მოჩანს ტერფების შავი ფერით შესრულებული დეტალები
(მარცხენა ტერფის წვერი, ხოლო მარჯვენასი — ქუსლი).

ფრაგმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი მცირე ზომის ფიგურას
კუთვნის. შესამოსელის ფერი, მისი ქობის მონახულობისა და ტერფების გა-



ტაბ. III. თამარ მეფის პორტრეტის ფრაგმენტი.

Табл. III. Фрагмент портрета царицы Тамара.



ტაბ. IV. ლაშა-გიორგის პორტრეტი.

Табл. IV. Портрет Георгия-Лаша.

მოსახვის მანერის შედარება ფოტომასალასთან გვაფიქრებინებს, რომ ესაა მცირეწლოვანი წმ. შარიაშის სტოლას ქვედა ნაწილი და ტერფების ფრაგმენტები „დაწინდების“ კომპოზიციიდან, რომელიც კლდეში ნაკვეთი ეკლესიის კამარის საშხრეთ ქანობის დასავლეთ ნაწილში იყო შესრულებული.

19. გვირგვინოსანი წმ. დედის ხაზის ფეტალი (ტაბ. 11, 6).

ხაინვ. № 324;

ზომა — 26 X 20;

ფრაგმენტი წმ. ეკატერინეს გამოსახულებას ეკუთვნის (ზემოთ, ხაინვ.

№ 293-ის აღწერისას ითქვა, რომ მისი ფიგურა დასავლეთ კედლის ტიშანის ქვედა რეგისტრში, მის სამხრეთ ნახევარზე იყო წარმოდგენილი). ფრაგმენტზე დარჩენილია მისი სახის მარჯვენა ნახევარი — ფაქტიურად მხოლოდ მოყვისფრო ფერით შესრულებული მოსამზადებელი ნახატი (თვალი, წარბი, პაგეების ნაშთი; ულტრაიისფერი სხივების შუქზე მოჩანს ცხვირის ხაზიც). საყურადღებოა შესამოსელის — მოწითალო ფერით გრაფიკულად მონიშნული გვირგვინის და ახლა სოსანისფერი კუბასტის დეტალები (ეს უკანასკნელი ტყვიის თეთრათი ყოფილა შესრულებული; გაფორმებულია მცირე ზომის ყავისფერი შეწყვილებული შტრიხებით). წმ. დედის კუბასტი შემკული იყო მარგალიტებისა და ლაქვარდის ქვებით ასხმული, სხივებად გამავალი მოკლე მძივებით. მათგან ახლა მხოლოდ რამდენიმე ფერადოვანი ლაქა გაირჩევა.

შარავანდი აქ შემკვრელითაა დაფარული, ბერთუბნის ეკლესიის მხატვრობაში წმინდანთა ნიშნებისათვის ტრადიციული თეთრი ფერი კი დადებული არ არის. შარავანდის დაუფარავ ფონზე მოჩანს ყავისფერით შესრულებული მსხვილი ნახევარწრიული მონასში — ჩანს ეს ხაზი ნიშნის კონტურის შემოსახავად იყო გამიზნული, მაგრამ ოსტატს იგი არასწორად დაუტანია. ამ უზუსტობის დაფარვა, ბუნებრივია, განზრახული იყო შარავანდის შეფერვისას (თეთრი საღებავის დადებისას), თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, ეკლესიის სხვა მონაკვეთების მსგავსად, სამუშაო დასრულებული არ ყოფილა.

20. წმ. მუღდაბნოვისა და წმ. მოწამის ორი ფიგურის ფრაგმენტი (ტაბ. 11, 7).

საინვ. № 325;

ზომა — 77 X 38,5;

ნაღესობის ეს მოზრდილი ნატეხი საინვ. № 312-ის მსგავსად ტაძრისა და დასავლეთ დამატებითი სათავისი დამაკავშირებელი ღიობის სამხრეთ ეანობზე წარმოდგენილ გამოსახულებებს ეკუთვნოდა. ფიგურები დასრულებული არ ყოფილა — ნაღესობაზე აქ ყავისფერით მხოლოდ მოსამზადებელი ნახატია დატანილი, ამასთან იმდენად თავისუფლად, რომ ფუნჯის კვალი ძალზე მკაფიოდ გაირჩევა. ფრაგმენტზე მოჩანს წმ. მოწამის გრძელი, უნაბისფერი წვერის ფრაგმენტიც, აგრეთვე შარავანდის ნაწილი, რომელიც ეკლესიის სხვა გამოსახულებებისაგან განსხვავებით ოქროსფერი ოქრის ხალებავით ყოფილა დაფერილი. წმ. მოწამის ჯვარი (იგი მას მარჯვენა ხელში უჭირავს) ლაქვარდის ფერისაა. საყურადღებოა მისი მეორე, ნებით წინ მიმართული მარჯვენა ხელის (resn მისი მოსამზადებელი ნახატის) შესრულების მანერა: იგი რამდენიმე არათანაბარი, საკმაოდ უხეში მონასმის საშუალებით არის ძალზე მსუბუქად მოხაზული. წმ. მოწამის ასევე გრძელი წვერიც უნაბისფერით ყოფილა შესრულებული, ოღონდაც იგი ხელ რამდენიმე მსხვილი შტრიხით ბოინიშნავს ოსტატს.

21. ხელის გამოსახულება (ტაბ. 11, 8).

საინვ. № 326;

ზომა — 13 X 20;

ფრაგმენტზე დარჩენილი გამოსახულება ძალზე ფრაგმენტულია და მისი თავდაპირველი ადგილის განსაზღვრა ახლა შეუძლებელია. ხელის მტევანის



ქვემოთ პარალელურად გამავალი ორი მუქი ფერის (შავი) ზოლი მოჩანს; აქვე გურკვეველი მოხაზულობის მოწითალო ფერის ორი ლაქა **გაიორჯვა**.

22. თამარ მეფის ფერწერული პორტრეტის ფრაგმენტი (ტაბ. 111)

საინვ. № 533;
ზომა 203 X 106;

თამარის გამოსახულებასთან ერთად ფრესკაზე წარმოდგენილია ღმრთისმშობელი ყრმითურთ Vevea Elpis-ის ტიპისა. ფრესკა რესტავრატორთა ჯგუფის მიერ, შ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით მოხსნილი და თბილისში ჩამოტანილი იქნა 1967 წელს.

23. ლაშა-გიორგის პორტრეტი (ტაბ. 11).

საინვ. № 534;
ზომა — 204 X 133;

ფრესკული პორტრეტი ახლა ექსპოზიციაშია. ისიც თამარის ფრესკულ გამოსახულებასთან ერთად იქნა მოხსნილი და გადმოტანილი თბილისში.

24. „შობის“ კომპოზიციის ცენტრალური ნაწილი

საინვ. № 535;
ზომა — 194 X 83;

ბერთუბნის გამოქვაბული ეკლესიის კამარის სამხრეთ ქანობზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში შესრულებული „ქრისტეს შობის“ სიუჟეტის ქვედა ნახევარი დაღუპულად ითვლებოდა. მუზეუმის ფონდში დაცული ეკლესიის მხატვრობის დედნების გადასინჯვისას აღმოჩნდა, რომ აქ „შობის“ კომპოზიციის დიდი ზომის ფრაგმენტი ინახება. კომპოზიციის ამ ფრაგმენტზე შემორჩენილია ბეთლემის წიაღში (იგი შავი ფერისაა) ცისფერი სტოლათი და შინდისფერი მაფორიონით მოსილი, ღია წითელი ფერის სარეცელზე მწილარ ღმრთისმშობლისა და მავამი ჩაწვენილი ჩვილი იესოს ფიგურები. ღმრთისმშობლის სახე ახლა დაზიანებულია. მისი შარავანდის ფერად ნაღვსობის დაუფარავი ზედაპირია გამოყენებული. ფრაგმენტზე მოჩანს პეიზაჟური ფონის — ბეთლემის მთის დეტალები, რომელიც ოქროსფერი ოქრის საღებავით ყოფილა შესრულებული. მის მარჯვენა ნაწილში მწყემსის ფიგურის მცირე ნაშთები გაირჩევა (ესაა დრაპირების რამდენიმე ხაზი), მასთან ერთად — „ღმრთისმშობლის ხარებისა“ და „ქრისტეს შობის“ კომპოზიციითა გამმიჯნავი მოწითალო-ყავისფერი ზოლი და მახარებელი ანგელოზის ფრთის ნაწილი „ხარების“ სიუჟეტიდან.

ფრესკის ზედაპირი ამ ფრაგმენტზე ჩამონადენი წყლით და ნაფხატებით არის ძალზე დაზიანებული.

25. „დატირების“ კომპოზიციის მცირე დეტალი (ტაბ. 11, 9).

საინვ. № 573;
ზომა — 15,4 X 28,8;

ეს სცენა — ბერთუბნის ეკლესიის დამატებითი დასავლეთ სათავეს ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში იყო შესრულებული — დამთავრებული არ ყოფილა; ცალკეული ფიგურები და პეიზაჟური ფონი აქ სხვადასხვა ფერის საღებავით ფერწერის მხოლოდ მიუნიშნავს (ზოგან ფერით შეუვსია კიდეც). კომპოზიციის მუზეუმში დაცულ ფრაგმენტზეც ასეა (ფრაგმენტი ბათქაშის ორი ნატეხისაგან შედგება) — სცენის მარცხენა ზედა კუთხეში

გამოსახული მფრინავი ანგელოზის ფიგურიდან დარჩენილ ამ ნაშთზე ჩანს რომ მისი კვართის ნახატი ყავისფერი საღებავით მოუნიშნავს ოსტატს (სამოსის ეს დეტალი ძალზე ცხოველხატულად, ნახევრადმშრალი ფუნჯის სულ რამდენიმე ძლიერი მონასპითაა შესრულებული), პიმატიონი — რამდენიმე თბილი და მქარალი ცისფერი ხაზით, მარჯვენა ზეაწეული ფრთა (მისგან მხოლოდ ქვედა ნაწილია დარჩენილი) — მოწითალო-ყავისფერით. ანგელოზის კეფისა და კისრის კონტური მხატვარს წერილი ყავისფერი ხაზით დაუტანია; ზეული თმის კულულებიც ასეთივე ფერის კიდევ უფრო წერილი მონასმებით სრულდება.

კომპოზიცია ამჟამად ფაქტიურად მთლიანად არის დაღუპული. შემორჩა ტ. შევიაკოვას მიერ შესრულებული მისი ასლი (ხხსმ, ხაინვ. № 215).

26. მართალთა ჯგუფის დეტალი „განკითხვის დღის“ კომპოზიციიდან (ტაბ. 11, 10).

ხაინვ. № 572;
ზომა — 41 X 35;

ფრაგმენტი ბათქაშის ერთმანეთთან შეუკავშირებელი რამდენიმე ნატეხი-სგან შედგება; თავად კომპოზიცია ამჟამად ფაქტიურად აღარ არსებობს — შემორჩა მხოლოდ ტ. შევიაკოვას მიერ შესრულებული ასლი (იგი მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციამაა გამოფენილი, ხაინვ. № 272). ფონდში დაცული დეტალების მასთან შეჯერებისას ირკვევა, რომ ფრაგმენტი ჯგუფის მარცხენა ნაწილში გამოსახულ სამ ფიგურას ეკუთვნის (ორი მათგანისაგან მხოლოდ მცირე ნაშთები — სახისა და სამოსის უმნიშვნელო დეტალები დარჩა). დასრულებული დასავლეთ სათავისი არც ეს ნაწილი ყოფილა, ამასთან განსაკუთრებით საგულისხმო აქ ისაა, რომ მართალთა ჯგუფის გამოსახულებათა მოსამზადებელი ნახატიც „დატირების“ კომპოზიციის მსგავსად სხვადასხვა ფერის საღებავით შესრულდა.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ქართული კედლის მხატვრობის ფონდში დაცულია ბერთუბნის მონასტრის მთავარი ეკლესიის ფრწურული შემკულობის ძალზე მცირე ზომის (1 X 5 სმ-დან 10 X 10 სმ-მდე), ფრაგმენტებიც. ზოგი მათგანი ერთი ფერთაა დაფარული, ნაწილზე კი რამდენიმე მქრთალი მონასპიც არის შემორჩენილი. დღეისათვის მათი თავდაპირველი ადგილმდებარეობის განსაზღვრა არ ხერხდება; ისინი მხატვრული თვალსაზრისითაც ნაკლებ მნიშვნელოვანია ტაძრის მოხატულობის შესახებ მსჯელობისას. ასეთი ტიპისაა ფრაგმენტები: ხაინვ. №№ 308, 317—323. ჩამოთვლილთა გარდა ფონდში დაცულია ბერთუბნის ეკლესიის ნაღესობის მრავალი, ასეთივე სახის (ან უფრო მცირე ზომის) ჯერჯერობით დაუნომრავი ფრაგმენტი.



ცნობილი ქართველი ინტელიგენტის სამსონ მეფისაშვილის ოჯახში იმთავითვე სუფევდა შრომისადმი დიდი სიყვარული, პრინციპულობა, მკაცრი მოთხოვნელობა, ურთიერთისადმი უსაზღვრო სიბოძო და პატივისცემა, რამაც სიყრმიდანვე განსაზღვრა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ხუროთმოძღვრების დაუცხრომელი მკვლევარის, მეცნიერებათა დოქტორის რუსუდან მეფისაშვილის ბასიათი და სიმნელეების გადალახვისადმი ღტოლა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ოჯახში აღიზარდა ქალბატონ რუსუდანი და — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირინე სამსონის ასული მეფისაშვილი).

რუსუდან მეფისაშვილის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის დასაწყისი დიდი სამამულო ომის წინა და პირველ დღეებს ემთხვევა; ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელსაც მკვლევრობდა ჩვენი სასიქადულო მეცნიერი — აკად. გიორგი ჩუბინაშვილი.

ომის მკაცრი დღეები გაჭირვება, მუშაობის მძიმე პირობები ვერ აერთობს ახალგაზრდა მკვლევარს, რომელიც ზამთრის უინვიან დღეებში, ზღთურქეთის საზღვარზე, იკვლევდა ახალციხის რაიონის ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ასევე იყო შიდა და ქვემო ქართლშიც. 1947 წელს ქალბატონი რუსუდანი წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას საქართველოში შექმნილ და განვითარებულ ე. წ. სამეცნიერო-კვლევითი ბაზილიკების შესახებ.



ამვე პერიოდიდან ფართოვდება მისი კვლევის არეალი ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მკვლევარმა განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ქართული საეტაპო ხუროთმოძღვრების ძეგლის — გელათის არქიტექტურული ანსამბლის შესწავლისა და წარმოჩენის საქმეს. მართალია გელათის შესწავლა არ მიმდინარეობდა უამირზე, გელათი იმ ბედნიერ ძეგლთაგანია, რომელსაც ბედმა გაუღიმა და ზოგი რამ მაინც შემოუნახა შთამომავლობას მისი აგების ისტორიიდან. გელათის შესახებ მნიშვნელოვანი ჩანაწერები დაგვტოვებს უცხოელმა ელჩებმა თუ მკვლევარებმა. ამ არქიტექტურულ კომპლექსს ცნობილი ქართველი მეცნიერების არაერთი საუურადღებო ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ ბევრი რამ ჭერ კიდევ გარკვევას და ხანგრძლივ მეცნიერულ კვლევას მოითხოვდა იმ რთული და უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხის გასაცემად, რაც გელათის გარშემო დაგროვდა. მკვლევარ რუსუდან მეფისაშვილის დაუღალავი შრომის შედეგად შეიქმნა სქელტანიანი ნაშრომი გელათის შესახებ, რომელიც ავტორის სადოქტორო დისერტაციის საფუძველი გახდა.

ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების პოპულარიზაციას, ჩვენი დიდი სამშობლოს საზღვრებს გარეთ, დიდად შეუწყო ხელი ქალბატონი რუსუდანის გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გამოცემულმა ძალად მეცნიერულ, მხატვრულ-პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულმა უზვად ილუსტრირებულმა მრავალფორმიანმა ნაშრომმა „ძველი ქართული კულტურის ძეგლები“, რომელიც გერმანიაში მასობრივი ტირაჟით გამოიცა.

დიდია რუსუდან მეფისაშვილის დამსახურება ქვემო ქართლისა თუ საქართველოს მთიანეთის ხუროთმოძღვრების ძეგლების გამოკვლენის, მეცნიერული შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში. მისთვის ძეგლები მარტო აკადემიური კვლევის ობიექტები კი არ არიან. არამედ მისი სულის ნაწილია, რომელთაში ღრმა პატივისცემას და სიყვარულს უწერგავს თავის მოსწავლეებს, ახალგაზრდა კოლეგებს და არა მარტო მათ.

რუსუდან მეფისაშვილი ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მრავალმხრივი მოღვაწეობისა. იგი არის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს უცვლელი წევრი დღიდან მისი დაარსებისა. განსაკუთრებით დიდაა მისი წვლილი საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობაში. მისი მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევები: „გელათი“, „ქუთაისი, გელათი, ვეგუთი“, აკადემიური ნაშრომი — „შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ძეგლები“ და სხვა მკითხველთა ფართო ნაწილის მოწონებით სარგებლობს. კრებულ „ძეგლის მეგობარში“ დაბეჭდილი მისი სტატიები გამოირჩევა კვლევის მეცნიერული სიღრმით.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, კრებულ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგია მხურვალედ ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს დაბადებდან 70 წლისთავს. უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობაში და პირად ცხოვრებაში.

საპარტიპელოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი,
კრებულ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგია.



1984 წლის 30 მაისს 70 წელი უხრულდება ცნობილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფ. ვახტანგ ბერიძეს.

ვ.ბერიძე ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ერთი დამფუძნებელთაგანია. იგი ჯერ ახლადდაარსებული ინსტიტუტის სწავლული მდივანია, შემდეგ განყოფილების ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე, ხოლო 1973 წლიდან, გიორგი ჩუბინაშვილის გარდაცვალების შემდეგ, ინსტიტუტის დირექტორია. მისი პირველი სამეცნიერო შრომა 1934 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიბეჭდა და ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ შრომათა სიაში სასიკეთესად გადააქარბა. ვ. ბერიძის გამოკვლევები შუქს ჰფენს ძველი და ახალი ქართული ხუროთმოძღვრების, კედლის მხატვრობისა და ნაქარგობის მრავალმნიშვნელოვან საკითხს, იგი არის ავტორი საინტერესო გამოკვლევებისა ქართული საბჭოთა ხელოვნების შესახებ. დღეს წარმოუდგენელია ქართული ხელოვნებათმცოდნეობა ვახტანგ ბერიძის გამოკვლევათა გარეშე. საყოველთაო აღიარება ჰპოვა მისმა მონოგრაფიულმა გამოკვლევებმა, „სამცხის ხუროთმოძღვრება“, „ქართული გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ზოგი ასპექტი“, „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება“, „XVI-XVIII სს. ქართული ხუროთმოძღვრება“, „ძველი ქართული ნაქარგო-



ბის ისტორიიდან“, ორტომიანი გამოკვლევა „თბილისის ბუროთმოძღვრება 1801-1917 წლებში“, „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება“, „დავით კაკაბაძე“ „ლაღო გუდიაშვილი“ და მრავალი სხვა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ვახტანგ ბერიძეს ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი ოთხი საერთაშორისო სიმპოზიუმი.

დიდ ენერჯიასა და სიუვარულს აქსოვს ვ. ბერიძე ახალგაზრდობის აღზრდას. 1938 წლიდან რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართველ არქიტექტორთა, მუსიკოსთა, მხატვართა, მოქანდაკეთა, მსახიობთა და ხელოვნების ისტორიკოსთა მთელი თაობების აღზრდაში.

ამავე დროს აკად. ვახტანგ ბერიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართული ბუროთმოძღვრების ძეგლთა დაცვა-რესტავრაციის საქმეს — როგორც ავტორიტეტული კონსულტანტი მრავალი რთული საკითხის გადაწყვეტისას.

გამოჩენილმა სწავლულმა, აკად. ვახტანგ ბერიძემ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების დაფუძნებასა და შემდგომი განმტკიცების საქმეში. იგი როგორც საზოგადოების პრეზიდენტის წევრი, თავმჯდომარის მოადგილე, ჩვეული ხალისით, ერთდროულად, ადამიანებისადმი ღრმა პატივისცემით მონაწილეობას იღებს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე არის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების კრებულ „ძეგლის მეგობრის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი, სარედაქციო კოლეგიის წევრი და უცვლელი მორიგი რედაქტორი. მისი რედაქტორობით გამოცემული კრებულის ნომრები გამოირჩევა მეცნიერული სიღრმით, დაზვეწილი ქართულით და აზრის სინათლით.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება თავისი მრავალათასიანი კოლექტივის სახელით და კრებულ „ძეგლის მეგობრის“ რედაქლეტია მზურვალედ მიესალმება და ულოცავს ღვაწლმოსილ ჩამულიშვილს, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს დაბადებიდან 70 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ახალ-ახალ შემოქმედებით სიხარულს სამეცნიერო მოღვაწეობაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

საპარტოვლო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რეპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში, კრებულ „ძეგლის მეგობრის“ საჩუქარი კოლეგია.

XIII-XIV სს. კავშირები

ქვეყნის სივარულით:

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის ინიციატივით ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით კარგ ტრადიციად დამკვიდრდა თბილისის სკოლებში „ძველას დღეებისა და კვირულების მოწყობა“. ადრე ასეთი ღონისძიებები განხორციელდა ქ. თბილისის მე-10, 117-ე, 130-ე და სხვ. სკოლებში.

წელსაც არ დარღვეულა ტრადიცია, 1983 წლის მაისში ანალოგიური ღონისძიებები ჩატარდა მე-3 ექსპერიმენტალურ, 23-ე და 124-ე საშუალო სკოლებში, რომლებიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრანტატის მე-200 წლისთავს.

განსაკუთრებით წარმატებით ჩაიარა მე-3 ექსპერიმენტალურ სკოლაში მომზადებული „ძველას კვირულება“ (დირექტორი ლამარა ურიდია, პიონერხელმძღვანელები — შთვარისა ფოფია, პედაგოგები — ნინო მგალობლიშვილი, თამილა მუსერიძე და ნუნუ ძაშუაშვილი).

აღნიშნული სკოლა დაამთავრა არა ერთი გამოჩენილია მეცნიერმა და სახელმწიფო მოღვაწემ, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირმა — პროფესორმა ირაკლი ციციშვილმა. რომელიც, როგორც სასურველი სტუმარი,

მონაწილეობდა აღნიშნულ ღონისძიებაში.

მან მაღლობა გადაუბარა ვუელის საღამოს მაღალ ფონზე მომზადებისათვის და ესაუბრა დამსწრეთ იმ საქმიანობაზე, რომელიც წარმატებით ხორციელდება ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენებაში. მოუწოდა მოსწავლეებს კიდევ უფრო აქტიურად ჩაებან მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში. ღონისძიებას ესწრებოდა აგრეთვე საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. სანუბლიძე და სწავლული მდივანი ირ. ზაქარიაშვილი. შემდეგ მოუწოდა მოსწავლეთა ექსპერსთა თბილისის ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

ასევე წარმატებით ჩაიარა ძველის დღეებმა 124-ე (დირექტორი ეთერ ჯაფარიძე) და 2-ე (დირექტორი მადონა მგელაძე) საშუალო სკოლებში. მათ მომზადებაში ეწევიან და ცოცხა არ დაზოგეს სკოლის ორგანიზატორმა — ლამარა გიორგაშვილმა და პედაგოგმა სესილი გვექვიძემ.

კარგი იქნება თუ სხვა სკოლებიც მიიბარებენ და ხშირად ჩაატარებენ ასეთ ღონისძიებებს.

АННОТАЦИИ

Н. ЦИЦИШВИЛИ

РЕСТАВРАЦИЯ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ В СВЯЗИ
С 200 ЛЕТИЕМ ПОДПИСАНИЯ ГЕОРГИЕВСКОГО ТРАКТАТА

В 1983 г. широко отмечалось 200-летие подписания договора о дружбе между Россией и Грузией. В развитии экономических и культурных связей между двумя государствами, решающую роль играла Военно-грузинская дорога.

Правительство Грузии приняло постановление «О реконструкции, благоустройстве и архитектурно-художественном оформлении Военно-грузинской дороги». Главное управление по охране памятников со своей стороны обязалось провести консервационные или реставрационные работы на всех памятниках культуры, находящихся вдоль дороги. Реставрационные работы были проведены на 37 церквях, крепостях, башнях и ме-

морзальных домах. Среди них и такие значительные памятники, как ансамбль Анаури, Гергетская самаба, крепость Сно, базилика и башня в Сиони и др.

К той же юбилейной дате были завершены работы по реставрации дворца Ираклия II в г. Телави. Кроме трудоемкой работы по выявлению дворца и его освобождению от позднейших наслоений, также были реставрированы дворцовая церковь, баня, крепостная ограда и башни.

В городе Сигтаху была завершена реставрация-регенерация одного из центральных участков города — торговых рядов. Работа выполнена успешно и возрожденный участок уже украшает этот живописный город.

В. ЦИЦАДЗЕ

СТРОИТЕЛЬСТВА ВАХТАНГА VI — «ГРУЗИНО»

Настоящая статья касается поселения «Грузино» в Москве в XVIII в. В 1725 году в Москву приехал царь Вахтанг VI с сыновьями: Вахушти, Бакара, и Георгия Багратиони и со свитой в 1200 человек. Для поселения «Грузино» русское правитель-

ство выделило земли у рек Пресня и Кабалыха, которые в то время находились на окраине Москвы (ныне большая Грузинская улица и прилегающая к ней площадь). Так была создана грузинская колония в Москве «Грузино».

Д. МЧЕДЛИДЗЕ

СИГНАХИ

Сигнахи один из колоритных городов восточной Грузии. Автор статьи рассказывает о реставрацион-

ных работах ул. Куйбышева и ул. Сараджиджили.

ЛАМИСКАНСКИЙ КОМПЛЕКС В КСАНСКОМ ЭРИСТАВСТВЕ

В статье рассказывается об изыскательных и реставрационно-адаптационных работах, проведенных архитекторами отдела адаптации главного управления охраны памятников А. Соломнишвили, Т. Хучуа, И. Шарашенидзе.

Ламисканский комплекс, находящийся в селе Ламискана Каспского района, представляет собой памятник XVIII в. и известный под названием «Дворца Орбелиани». За время своего существования комплекс частично разрушился, дошел до нас в измененном виде.

К работам, проведенным на основе документальных данных, относятся: восстановление крепостных стен, ба-

шен, дворца, церкви XVIII в консервационных работах.

Изыскательные работы опирались на: материалы личного архива Н. М. Джавахишвили в виде фотографии, зарисовок дворца неизвестным художником; литературные источники, ме-муары М. В. Джембакур-Орбелиани, устные описания старейших жильцов деревни, аналоги других памятников.

Памятник адаптируется следующим образом: на I этаже расположится культурный центр деревни (библиотека и выставочный зал), на II этаже — этнографический музей XIX столетия.

Восстановительные работы подходят к концу и еще один памятник грузинской архитектуры начнет новую жизнь.

Т. ДВАЛИ, К. ГИОРГОБНИАНИ

О ВОПРОСАХ РЕСТАВРАЦИОННЫХ РАБОТ КУПОЛЬНОГО ХРАМА «ВАЧНАДЗИАНИ»

В статье рассматриваются вопросы реставрации выдающегося памятника VIII—IX вв. купольного храма виацмinda близ сел. Шрома (прежнее Вачнадзиани). Изучение материала, выявленного авторами, выдвинуло иной вариант реконструкции некоторых наиболее сложных частей соору-

жения, отличающийся от решений других авторов. В частности авторы предлагают свой вариант реконструкции западного притвора с восстановлением купола в его центральной части, а над ним помещения хора с трехгранным выступом.

Н. ТОДУА, М. ГАМКРЕЛИДЗЕ, Л. ТОПУРЦЯ, Н. ЦАНАВА, Т. ЯКАШВИЛИ

РАСТЕНИЯ ВЫЗЫВАЮЩИЕ ЭРОЗИЮ МЕЧЕТИ АХАЛЦИХСКОГО РАБАТА.

Отрицательное влияние растений, произрастающих на стенах и куполах исторических памятников древности, общезвестно.

Сотрудники лаборатории СИРПО выявили и изучили растения, произрастающие на куполе мечети Ахалцих-

ского рабата, где насаждения были 100%.

В 1981 году растения были собраны, определены виды и проведены меры химической борьбы.

Результаты положительные.

НЕИЗВЕСТНЫЙ ПАМЯТНИК В ГЕЛАТИ

В статье автор дает очень интересные сведения об обнаруженном на территории, прилегающей к замечательному монастырскому комплексу Гелати, неизвестном памятнике.

С Юго-восточной стороны ансамбль Гелати граничит обрывистой скала, «Саколавис Кеди», на южном плато которого, автором в 1980 году обнаружена ограда города или цитадели, который представляет собой стену циклопического строения шириной 1,5 — 3,0 метра.

Территория внутри ограды составляет приблизительно 10 гектаров. И что самое интересное, с южной стороны ограды имеется карстовая воронка, ограниченная стеной. Шириной 30 метров воронка должна представлять собой вход в подземелье.

Обнаруженные подземные пещеры и стены циклопической кладки, указывают на то, что этот памятник охватывает период от неолита до феодальной эпохи и требует неотложного научного изучения и охраны.



3. СХИРТЛАДЗЕ

ФРАГМЕНТЫ РОСПИСИ БЕРТУБАНСКОГО ХРАМА В СОБРАНИИ ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ИСКУССТВ ГРУЗИИ

В данном номере продолжается публикация, описание и атрибуция фрагментов фресок пещерной церкви в Бертубани, хранящихся в фондах

Государственного музея искусств Грузии. В этой части статьи приводятся несколько наиболее значительных деталей живописного декора храма.

ПОЗДРАВЛЯЕМ ЮБИЛЯРА

Недавно было тепло отмечено 70-летие со дня рождения доктора истории и архитектуры Русудан Самсоновны Мепсашвили.

Данная статья посвящается жизни и деятельности выдающейся ученой, которая всю свою жизнь отдает выявлению и изучению памятников грузинской культуры. Р. С. Мепсашвили своими научными трудами обогащает грузинскую историческую нау-

ку; является автором и лучшим другом сборника «Друзья памятников культуры».

Президиум республиканского совета общества охраны памятников культуры Грузии и редакция «Друзья памятников культуры» поздравляют Р. С. Мепсашвили с юбилейной датой и желают большого счастья, долгой жизни и здоровья на благо грузинского народа.

ЗАМЕЧАТЕЛЬНЫЙ УЧЕНЫЙ

В мае 1984 г. исполняется 70 лет со дня рождения, выдающемуся ученому, неутомимому искателю и исследователю памятников грузинского зодчества, педагогу, заслуженному деятелю науки, академику АН ГССР, профессору ВАХТАНГУ ВУКОЛОВИЧУ БЕРИДЗЕ.

Президиум общества охраны па-

мятников истории и культуры Грузии и редколлегия сборника «ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ», сердечно поздравляют с знаменательной датой, замечательного ученого, чье имя нераздельно связано с развитием грузинского искусства и желает ему долгой жизни и здоровья на благо грузинского народа.

I. TSITSISHVILI

ON THE RESTORATION OF HISTORICAL AND CULTURAL MONUMENTS IN HONOUR OF THE 200th ANNIVERSARY OF THE GEORGIEVSKI FRIENDSHIP TREATY

The paper deals with the discussion of the 200th anniversary of the Georgievski friendship treaty, of the works carried out in honour of the friendship treaty.

V. TSINTSADZE

ON THE CHARACTERIZATION OF PLANNING OF «GRUZINO»

The author of the article briefly discusses the monument «Gruzino» proof of friendship between the Georgian and Russian nations.

D. MCHEDLIDZE

SIGNAGI

The author tells us about the history of work which have been carried out during foundation, its past and present. recent years.

The paper also deals with the restoration

I. SHARASHENIDZE

THE LAMISKHANA COMPLEX OF KSANI

According to the decision of the chief restoration project of the «Orbeliani castle management of Monument Care and the and palace» situated in Lamiskhana. The Kaspi district the department of adaptation have studied and worked out a paper deals with the account of the work carried out.

K. GIORGOBIANI, T. DVALI.

ABOUT THE RESTORATION OF THE CHURCH OF «KVELATSMINDA» OF VACHNADZIANI

The article is about the restoration of the Vachnadziani, which dates back to the church of «Kvelatsminda» in the village of 18th - 19th cc.

N. TODUA, M. GAMKRELIDZE, L. TOPURIA, N. TSANAVA, T. JAKASHVILI

PLANTS CAUSING EROSION OF THE OF «RABATI» IN AKHALTSIKHE

One of the important problems in the field of protection of culture monuments is struggle against various kinds of plants, which ruin the Monument. worked out to destruct them on the of «Rabati» in Akhaltsikhe. The plants on the monument are destroyed.

In 1981 year the chemical methods were

The Gelati complex borders with the steep hill «Sakolavis Kedi», on the Southern plateau of which the author in 1980 discovered the wall of Cyclopien building between 1,5 and 3 metres thick. It is supposed to be a fence of a town or a citadel. On the inner territory, which is equal to 10 hectares, a kart crater of 30metres width enclosed by a fence was revealed. It is absolutely impossible to date the monument without many sided, complex study of it. The fact is, that the monument in question is far more older than Gelati and keeps many unknown historical

Z. SKHIRTLADZE

ON THE DECORATION FRAGMENTS OF THE BERUBANI CATHEDRAL FROM THE GEORGIAN STATE ART MUSEUM

The paper is a continuation of the publication of the decoration fragments of Berubani Cathedral preserved in the Georgian State art museum.

712/6



ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

საქართველოს
ისტორიისა და
კულტურის მემკვიდრეობის
დაცვის საზოგადოება

Серия: Памятники материальной культуры
Выходит на общественных началах

«ДЗЕГЛИС МЕГობარი»

(друзья памятников культуры)
(на грузинском языке)

Сборник шестьдесят пятый.

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ხერხეიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პრეზიდენტი), ოთარ თაქთაძეშვილი, ირაკლი ჯაფარიანიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მამბრაძე, ოთარ სანთლაძე, თენგიზ ფარაძე, გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ფინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — ვახტანგ ცინცაძე
Редактор серии Ираклий Цицишвили
Редактор Вахтанг Цинцадзе

საგამომცემო საზოგადოებრივი საწესიანობა

გაზეთის წარმოებას 2. VIII 83 წ., ხელმოწერილია დასაბუქდად 22. III. 84 წ., ფიზიკური ფირმათა რეგისტრაცია 5. საელ.-საგამომცემლო თაბახი 5.5. ანაწილების ზომა 7x11,5. ქალაქის ზომა 70x108¹/₁₆, რედაქციის მისამართი: შეთელის ქ. № 5/7, ტელ. 93-56-14.

დე C0541

ტირაჟი 3.000


შეკვ. 2309

ფასი 1 რაბ.

Цена 1 руб.

საქართველოს ფ. ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Тип. изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, № 14.

Handwritten text at the top of the page, partially obscured by a piece of paper. The text is written in a cursive script and appears to be a list or inventory of items, possibly related to the architectural plan below. Some legible words include "No. 1", "No. 2", "No. 3", "No. 4", "No. 5", "No. 6", "No. 7", "No. 8", "No. 9", "No. 10", "No. 11", "No. 12", "No. 13", "No. 14", "No. 15", "No. 16", "No. 17", "No. 18", "No. 19", "No. 20", "No. 21", "No. 22", "No. 23", "No. 24", "No. 25", "No. 26", "No. 27", "No. 28", "No. 29", "No. 30", "No. 31", "No. 32", "No. 33", "No. 34", "No. 35", "No. 36", "No. 37", "No. 38", "No. 39", "No. 40", "No. 41", "No. 42", "No. 43", "No. 44", "No. 45", "No. 46", "No. 47", "No. 48", "No. 49", "No. 50".



Handwritten text on the left side of the page, arranged in a vertical column. The text is written in a cursive script and appears to be a list or inventory of items, possibly related to the architectural plan above. Some legible words include "No. 1", "No. 2", "No. 3", "No. 4", "No. 5", "No. 6", "No. 7", "No. 8", "No. 9", "No. 10", "No. 11", "No. 12", "No. 13", "No. 14", "No. 15", "No. 16", "No. 17", "No. 18", "No. 19", "No. 20", "No. 21", "No. 22", "No. 23", "No. 24", "No. 25", "No. 26", "No. 27", "No. 28", "No. 29", "No. 30", "No. 31", "No. 32", "No. 33", "No. 34", "No. 35", "No. 36", "No. 37", "No. 38", "No. 39", "No. 40", "No. 41", "No. 42", "No. 43", "No. 44", "No. 45", "No. 46", "No. 47", "No. 48", "No. 49", "No. 50".



ეროვნული
ბიბლიოთეკა